სს იშბანკი საქართველო

პილარ **3** ანგარიშგება

2024

სარჩევი

პილარ 3 ანგარიშგების წარდგენა 3
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა 3
ძირითადი მაჩვენებლები 4
აქციონერის სტრუქტურა 5
კორპორატიული მმართველობა 9
რისკის მართვა 22
ანაზღაურება 25
გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა 31
სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება 47

პილარ 3 ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებსა და ევროკავშირის N 575/2013 დირექტივის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი მოთხოვნები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე".

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს..

ძირითადი მაჩვენებლები

	2024	2023	2022
საზედამხედველო კაპიტალი **(**მოცულობა**,** ლარი**)**			
ბაზელ ***III***-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით			
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**143,298,737**	133,880,862	111,095,600
პირველადი კაპიტალი	**143,298,737**	133,880,862	111,095,600
საზედამხედველო კაპიტალი	**143,298,737**	133,880,862	116,172,986
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები **(**მოცულობა**,** ლარი**)**			
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	**562,399,080**	508,949,790	447,552,269
კაპიტალის კოეფიციენტები			
ბაზელ ***III***-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით			
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 9.14 %)	**25.48%**	26.31%	24.82%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 11.35 %)	**25.48%**	26.31%	24.82%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 19.90 %)	**25.48%**	26.31%	25.96%
მოგება			
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	**8.34%**	8.72%	7.15%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	**3.52%**	2.73%	1.77%
საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	**5.61%**	7.37%	4.47%
წმინდა საპროცენტო მარჟა	**4.82%**	5.99%	5.38%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	**2.61%**	3.98%	4.13%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	**8.46%**	13.25%	16.15%
აქტივების ხარისხი			
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	**0.32%**	0.37%	2.44%
სშდრ / მთლიან სესხებთან	**0.50%**	0.71%	2.70%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	**53.79%**	64.01%	46.31%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	**55.61%**	58.16%	55.20%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	**19.58%**	0.22%	9.14%
ლიკვიდობა			
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	**19.36%**	33.66%	24.91%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	**80.33%**	82.35%	76.89%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	**14.33%**	19.23%	22.69%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი			
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	**94,831,123**	158,187,110	101,467,170
ფულის წმინდა გადინება (სულ)	**71,811,251**	88,029,335	59,257,736
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	**132.06%**	179.70%	171.23%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი			
ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება (სულ)	**273,271,719**	237,577,669	231,228,050

სტაბილური დაფინანსების საჭიროება (სულ)	**257,982,805**	198,330,715	182,662,714
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (%)	**105.93%**	119.79%	126.59%

ძირითადი მაჩვენებლები (გაგრძელება)

რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები ლარებით

	2024	2023	2022
საკრედიტო რისკი მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**505,920,620**	456,390,073	406,190,896
საბალანსო ელემენტები	**436,667,818**	395,899,524	356,280,950
მათ შორის: ზღვრული დაქვითვის მეთოდს დაქვემდებარებული რისკის პოზიციები, რომლებიც არ იქვითება კაპიტალიდან (რომლებიც იწონება 250%-ში)			
გარესაბალანსო ელემენტები	**69,252,802**	60,490,549	49,909,946
კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები			0
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**2,918,293**	1,630,160	602,031
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**53,560,167**	50,929,556	40,759,343
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**562,399,080**	508,949,790	447,552,269

აქციონერის სტრუქტურა

სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს 1924 წელს თურქეთში დაფუძნებული ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი ბანკი“, „აქციონერი“ ან „თურქეთის იშბანკი“) შვილობილ კომპანიას. თურქეთის იშბანკი საქართველოს ბაზარზე 2012 წელს შემოვიდა, როდესაც სს „თურქეთის იშბანკის ბათუმის ფილიალი” (შემდგომში „ფილიალი“) გაიხსნა. ფილიალის ოფიციალური რეგისტრაციის თარიღია 2012 წლის 13 ივლისი (საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიის #908). 2015 წლის 1 აგვისტოს მოხდა ფილიალის რეორგანიზაცია ბანკად - სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) (ლიცენზიის # 368). ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611. აქციონერი ფლობს ბანკის 100%-იან წილს.

სს „თურქეთის იშბანკი“ (აქციონერი) მოკლე მიმოხილვა

მშობელი ბანკი წარმოადგენს უმსხვილეს კერძო ბანკს თურქეთში მთლიანი აქტივების, სესხებისა, დეპოზიტების მოცულობისა და ბანკომატების რაოდენობის მიხედვით. მთლიანი აქტივების მოცულობა 2024 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით შეადგენდა 94.143 მილიონ აშშ დოლარს (3,323,776 მლნ თურქული ლირა). მთლიანი აქტივების 50%-ს სესხების პორტფელი შეადგენს. დეპოზიტების მოცულობა შეადგენს 60.249 მილიონ აშშ დოლარს (2,127,117 მლნ თურქული ლირა), რაც მთლიანი ვალდებულებების 64%-ია.

ბანკისა და ჯგუფის საქმიანობა თურქეთში დაიწყო 1924 წელს. ბანკი უზრუნველყოფს კერძო, საცალო, კომერციულ და კორპორაციულ საბანკო საქმიანობას, ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოპერაციებს, აგრეთვე საერთაშორისო საბანკო მომსახურებას. ბანკი დღეისათვის ფუნქციონირებს 1,012 ფილიალით თურქეთში და 22

უცხოური ფილიალით, 3 სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი ბანკითა და 2 წარმომადგენლობითი ოფისით 11 ქვეყანაში.

ბანკის აქციონერი წარმოდგენილია 3 შვილობილი ბანკით: საქართველოში, გერმანიასა და რუსეთში.

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

აქციონერის სტრუქტურა შემდეგია:



იშბანკის საპენსიო ფონდი – 38.6%: საპენსიო ფონდი მოქმედებს როგორც ბანკის აქტიური, ისე პენსიონერი თანამშრომლების სახელით.
ათათურქის აქციები - 28.10%: რესპუბლიკური სახალხო პარტია (CHP) სამართალმემკვიდრეა იმ აქციების, რომლებიც თავდაპირველად ათათურკს (Isbank– ის დამფუძნებელი) ეკუთვნოდა. ათათურქის საკუთრებაში არსებულ ამ აქციებს წარმოადგენს CHP ათათურქის ნების შესაბამისად. რადგან ამ აქციების დივიდენდიდან მიღებული შემოსავლები თურქეთის ენათმეცნიერულ საზოგადოებასა და თურქეთის ისტორიულ საზოგადოებას ათათურქის ანდერძის შესაბამისად დარჩა, დივიდენდის გადახდა ხდება ხსენებულ ინსტიტუტებზე ათათურქის ნებით და სამართლებრივ ჩარჩოებში. თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი აქციები – 33.3%.
აქციები კვოტირებულია სტამბულის საფონდო ბირჟაზე და ასევე ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე GDRების ფორმით.

მშობელი კომპანიის საერთაშორისო რეიტინგი შემდეგია:

MOODY'S

Bank Deposit Foreign Currency	B1/Positive/Not-Prime
Bank Deposit Local Currency	B1/Positive /Not-Prime
Senior Unsecured Debt Rating	B1
Baseline Credit Assessment	b2
Subordinated Debt Rating	Caa1(hyb)

FitchRatings

FC Issuer Default Rating	BB- / Stable / B
LC Issuer Default Rating	BB- / Stable / B
National Long Term Rating	AA-(tur) / Stable
Viability Rating	bb-
Senior Unsecured Notes	BB-/B

* გრძელვადიანი / ხედვა / მოკლევადიანი

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები

აქციონერთა უფლებები და მოვალეობები დეტალურად გაწერილია ბანკის წესდებაში, რომელიც იცავს ბანკის, როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს სუბიექტის, ასევე აქციონერის ინტერესებს.

ბანკის აქციონერს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე საკმარისი ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე; ასევე მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;

გ) მიიღოს მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში, გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხებზე, დასვას შეკითხვები და წამოაყენოს წინადადებები;

დ) მიიღოს მონაწილეობა ბანკის მართვაში აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების გზით;

ე) შეიძინოს ან/და გაასხვისოს აქციები; მიიღოს დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;

ვ) მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე;

ზ) გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში);

თ) გაეცნოს ბანკის წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს, ასევე ინფორმაციებს მნიშვნელოვანი შენაძენისა და ბანკის მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ;

ი) მმართველი ორგანოს წევრებისაგან მიიღოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ბანკის მმართველი ორგანოების გასული, მიმდინარე და სამიზნე საქმიანობის, მნიშვნელოვანი აქტივების შეძენისა და გასხვისების, ასევე მისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. უარი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე შეიძლება ეთქვას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს საზიანოა ბანკის კომერციული ინტერესებისთვის, რაც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული;

კ) ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა. აღნიშნული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკის აქციათა ხუთი ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერს ასევე უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება; საერთო კრების მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

შემოწმებას ახორციელებს აქციონერის მიერ შერჩეული შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სპეციალურ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ბანკი;
ბ) მოითხოვოს, ბანკის ინტერესების შესაბამისად, რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. თუ ბანკის დირექტორები, მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში, არ მოიწვევენ კრებას, აქციონერს შეუძლია ამ მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს;
გ) მოითხოვოს კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანა; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვოს აგრეთვე, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია და ანგარიში;
დ) მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლი ან/და ინფორმაცია დასადები გარიგეგების შესახებ.
აქციონერს არა აქვს უფლება ხმა მისცეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.
თუ აქციონერს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზის გამო ირღვევა მისი, როგორც აქციონერის უფლება, ის უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად ან წერილობით მიაწოდოს აქციონერს დასაბუთებული პასუხი მის განცხადებაზე.
გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ბანკის აქციონერებს აქვთ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გასაზღვრული სხვა უფლებები.
ჩვეულებრივ აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

აქციონერის სტრუქტურა (გაგრძელება)

ბანკის აქციონერი არის ერთ-ერთი უმსხვილესი კონგლომერატი თურქეთში. მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საბანკო და სხვა ფინანსურ მომსახურებასთან, რომელიც მოიცავს დაზღვევას, კერძო საპენსიო ფონდს, აქტივების მართვას, ლიზინგსა და ფაქტორინგს, საინვესტიციო საბანკო და საბროკერო მომსახურებებსა და მინის წარმოებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იშბანკ თურქეთს 17 საწარმოში ჰქონდა წილობრივი მონაწილეობა, რომელიც შეადგენს აქტივების 6,1%-ს. 70% ივაჭრება საფონდო ბირჟებზე.

მინის წარმოება

შიშეჯამი ბრტყელი მინის, მინის ჭურჭლის, მინის შეფუთვისა და ქრომის ქიმიკატების წამყვანი მწარმოებელი შიდა ბაზარზე. შიშეჯამი აფართოებს წარმოებას მეზობელ ქვეყნებში. მისი პირველი ინვესტიცია საზღვარგარეთ იყო ქსნის მინის ქარხნის შეძენა 1997 წელს. შიშეჯამის 52.04%-ს ფლობს სს „თურქეთის იშ ბანკი“. პროდუქცია იყიდება მსოფლიოს 150 ქვეყანაში. წარმოება ფუნქციონირებს 19 ქვეყანაში 24,950 დასაქმებულით. საქართველოსა და თურქეთის გარდა ჯგუფს 46 საწარმო აქვს 12 ქვეყანაში (აშშ, გერმანია, იტალია, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბოსნია, უკრაინა, რუსეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ეგვიპტე, ინდოეთი).

ფინანსური მომსახურება

კომპანიის დასახელება	საქმიანობის სფერო	ბანკის პირდაპირ წილი (%)	ჯგუფის წილი (%)	აქტივები (USD 000)	სააქციო კაპიტალი (USD 000)	ბაზრის წილი (%)	ბაზრის წილის მდგენელი
Türkiye Sınai Kalkınma Bankası A.Ş.	საინვესტიციო ბანკი	47.68	51.37	6,607,439	927,965	12.3	სულ აქტივები
TSKB GYO A.Ş.	უძრავი ქონებით საინვესტიციო საქმიანობა	-	88.61	133,495[(1)]	128,062[(1)]	0.9	საბაზრო ღირებულება
İşbank AG	საბანკო საქმე	100	100	2,298,349	489,263	N/A	პრემიუმ შემოსავალი
JSC İşbank	საბანკო საქმე	100	100	563,074	79,938	N/A	მენეჯმენტის ქვეშ მყოფი კერძო საპენსიო ფონდები / სიცოცხლის პრემიის შემოსავალი
JSC Isbank Georgia	საბანკო საქმე	100	100	174,557	52,026	N/A	პრემიუმ შემოსავალი
Anadolu Anonim Türk Sigorta Şirketi	დაზღვევა	-	64.31	2,748,504	875,881	9.4	ტრანზაქციის მოცულობა

Anadolu Hayat Emeklilik A.Ş.	სიცოცხლის დაზღვევა და კერძო პენსია	63.89	84.89	7,426,958	276,455	12.4/ 17.6(2)	ტრანზაქციის მოცულობა
Milli Reasürans T.A.Ş.(1)	გადაზღვევა	87.60	87.60	920,565	445,423	7.0(3)	NAV
İş Yatırım Menkul Değerler A.Ş. (4)	საბროკერო სახლი	65.74	70.78	1,509,341(1)	601,958(1)	10.1(1)	მენეჯმენტის ქვეშ მყოფი სახსრები
Yatırım Finansman Menkul Değerler A.Ş. (4)	საბროკერო სახლი	-	98.42	195,788	26,743	2.1(1)	საიჯარო მოთხოვნები
Yatırım Varlık Kiralama A.Ş.	აქტივების ლიზინგი	-	100	57,225	60	-	
İş Yatırım Ortaklığı A.Ş.	ნდობის კომპანია	-	38.04	14,862	14,703	29 (1)	მოთხოვნების ფაქტორინგი
İş Portföy Yönetimi A.Ş.	პორტფელის მართვა	-	100	67,191	58,340	11.2(1)	□აბაზრო ღირებულება
İş Finansal Kiralama A.Ş. (4)	ლიზინგი	30.43	60.88	1,992,780	281,205	11.1 (1)	POS ტრანზაქცია
İş Faktoring A.Ş.	ფაქტორინგი	-	100	1,079,952	130,171	8.6(1)	□ულ აქტივები
İş Gayrimenkul Yatırım Ortaklığı A.Ş.	უძრავი ქონების მართვა	52.22	65.00	1,179,128(1)	989,853(1)	3.5	პრემიუმ შემოსავალი
İş Girişim Sermayesi Yatırım Ortaklığı A.Ş.	რისკის საწარმო	-	56.78	145,312	119,426	-	მენეჯმენტის ქვეშ მყოფი კერძო საპენსიო ფონდები / სიცოცხლის პრემიის შემოსავალი
Efes Varlık Yönetim A.Ş.	აქტივების მართვის	-	100	21,727	13,427	-	პრემიუმ შემოსავალი
Maxis Girişim Sermayesi Portföy Yönetimi A.Ş.	პორტფელის მართვა	-	100	11,706	10,383	3.6(1)	მართვაში არსებული ფონდები
Maxis Investments Ltd.	საბროკერო საქმიანობა	-	100	221,605(1)	16,595(1)	-	
Moka Ödeme ve Elektronik Para Kuruluşu A.Ş.	გადახდის სერვისები	100	100	83,741	3,127	6.98	ტრანზაქციის მოცულობა
სულ				27,453,299	5,541,004		სულ

(1) 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით


(2) კერძო საპენსიო ბაზრის წილი გამოითვლება მონაწილეთა ფონდის ოდენობაზე, ავტო ჩარიცხვისა და სახელმწიფო შენატანის ჩათვლით.

(3) გამოითვლება ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების მიერ გადამზღვეველებისთვის გადაცემული პრემიების საერთო რაოდენობაზე


(4) კონსოლიდირებული მონაცემები

კორპორატიული მმართველობა

ორგანიზაციული სტრუქტურა 2024 წლის ივნისამდე



ორგანიზაციული სტრუქტურა 2024 ივნისის შემდეგ



ბანკის ხელმძღვანელი ორგანოები
ბანკის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ბანკის აქციონერთა საერთო კრება („საერთო კრება“)
- სამეთვალყურეო საბჭო
- დირექტორთა საბჭო

საერთო კრება

საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი კრება მოიწვევა წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში. რიგგარეშე კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

საერთო კრება უფლებამოსილია:
ა) შეცვალოს წესდება, გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან რეორგანიზაციის შესახებ;
გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს, ასევე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს;
დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან ნებისმიერ დროს მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე; ვ) დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების ანგარიში;
ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
თ) აირჩიოს აუდიტორი;
ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოს პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების აქტივების შეძენის, გასხვისების გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების), რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას;
ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭო
სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას ბანკის საქმიანობაზე. იგი შედგება 6 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე კვარტალში ერთხელ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის ძირითად სტრატეგიაზე და აკონტროლებს დასახულ მიზნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციაა:
ა) გაუწიოს კონტროლი დირექტორების საქმიანობას;
ბ) ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ბანკის საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;
გ) გააკონტროლოს და შეამოწმოს ბანკის საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, ბანკის სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას ეს შეუძლია დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
დ) მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება, თუ ამას ბანკის აუცილებლობა მოითხოვს;
ე) შეამოწმოს წლიური ანგარიშები. მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის შესახებ მოახსენოს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული ფინანსური წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
ვ) დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დირექტორები, ასევე დადოს და შეწყვიტოს მათთან ხელშეკრულებები; დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს აუდიტის კომიტეტის წევრები.
ზ) დაამტკიცოს ბანკის სტრუქტურა და ბანკის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
თ)წარმოადგინოს ბანკი დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა;
ი) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი. კ) განსაზღვროს ბანკის ხედვა და მისია;
ლ) განსაზღვროს და განახორციელოს ბანკის ინვესტიციების, ფინანსების, აღრიცხვის, პერსონალის, ხელფასისა და ანაზღაურების და დივიდენდის პოლიტიკის მონიტორინგი.

საქმიანობა, რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს:

ა) საზოგადოების აქციების/წილების შესყიდვა ან გაყიდვა, ნებისმიერი საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობა, საკუთარ აქციებთან/წილებთან დაკავშირებით შეზღუდვების განხორციელებისთვის უფლების მიცემა;
ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
გ) წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;
დ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან გაცვლა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები);
ე) სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ვ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზურნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია; ზ) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
თ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

ი) ხელმძღვანელ პირებისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა; კ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
ლ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
მ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;
ნ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;
ო) ბანკის სასარგებლოდ უფლების დათმობა, ვალის პატიება, საჭიროებისას არბიტრაჟისთვის მიმართვა და მორიგება მოთხოვნებთან დაკავშირებით;
პ) ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიმართ სარჩელის შეტანა, ბანკის მიერ სასამართლო დავის დროს ან სანქციის დაკისრებისას განსახორციელებელი მოქმედების განსაზღვრა;
ჟ) სანებართვო მოწმობების, ლიცენზიების, მარეგულირებელ/სახელმწიფო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების ხელმოწერა, შეცვლა, განახლება და შეწყვეტა;
რ) კალენდარული წლის განმავლობაში ისეთი ინვესტიციების განხორციელება, რომლებიც აღემატება წინა კალენდარული წლის საკუთარი კაპიტალის 0.1%-ს; ინვესტიციების განხორციელება, რომლის მთლიანი თანხა აღემატება წინა წლის საკუთარი კაპიტალის 0.5%-ს;
ს) კალენდარული წლის განმავლობაში საქონლის და მომსახურების შეძენა, რომლის ღირებულება აღემატება წინა კალენდარული წლის საკუთარი კაპიტალის 0.05%-ს, ან თუ შესაძენი საქონლის და მომსახურების ღირებულება აღემატება წინა წლის საკუთარი კაპიტალის 0.25%-ს;
ტ) საგადასახადო ჯარიმების და ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდა;
უ) დეპარტამენტის ხელმძღვანელების ან მათთან გათანაბრებული პირების დანიშვნა, მათი ფინანსური და არაფინანსური უფლებების განსაზღვრა და მათი ანაზღაურებისა და დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ფ) გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად არ მიეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოს კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს, ასევე, გადაწყვეტილებებს კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. კერძოდ, ისინი ვალდებულები არიან იზრუნონ ბანკზე და მის სტაბილურობაზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედონ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია ბანკისათვის.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, წევრთა განათლება და გამოცდილება

ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ , სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2022 წლის აგვისტო - მიმდინარე

ოლგუნი თუფანი ყურბანოღლუმ დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი ბაკალავრის ხარისხით სახელმწიფო ადმინისტრირებაში, თურქეთში.
ის შეუერთდა თურქეთის იშბანკს 1993 წელს, როგორც ინსპექტორი. 2002-2006 წლებში დაინიშნა Isbank Turkey-ის კომერციული და კორპორაციული კრედიტების მონიტორინგის განყოფილების დირექტორის მოადგილედ. 20062011 წლებში მუშაობდა კომერციული და კორპორატიული საკრედიტო მონიტორინგში განყოფილების უფროსად . 2011-2014 წლებში ბ-ნი ოლგუნი იყო კომერციული და კორპორატიული კრედიტების მონიტორინგის რეგიონალური დირექტორი და 2014 წლიდან 2022 წლამდე მუშაობდა იშბანკ თურქეთის კომერციული და კორპორატიული კრედიტების მონიტორინგის ხელმძღვანელის თანამდებობაზე .
ოლგუნი თუფანი ქურბანოღლუ სს იშბანკ საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2022 წლის აგვისტოში გახდა.

ოზანი უიარი , სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2022 წლის აგვისტო - მიმდინარე

ოზანი უიარმა დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. 2015 წელს ბ-ნი ოზანი შეუერთდა Isbank Turkey-ს, როგორც სესხის პორტფელის მენეჯმენტის ხელმძღვანელი. 2017-2020 წლებში მუშაობდა კორპორატიული ბანკინგის, მარკეტინგისა და გაყიდვების განყოფილების უფროსად, 2020 წლიდან კი საკრედიტო დეპარტამენტის უფროსად გადავიდა. მომდევნო 2 წლის განმავლობაში, ბ-ნი ოზანი იყო ფინანსური ანალიზის დეპარტამენტის დირექტორი და 2022 წლიდან არის მასლაკის დირექტორი კორპორატიული ფილიალი.

ბატონო ოზან უიარი არის სამეთვალყურეო საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2022 წლის აგვისტოდან.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

ჰუსეინ სერდარ იუჯელ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონმა ჰუსეინ სერდარ იუჯელმა 1996 წელს დაამთავრა მარმარის უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში.
ბატონმა სერდარ იუჯელმა კარიერა დაიწყო 1996 წელს თურქეთის იშბანკის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტში ოფიცრის თანამდებობაზე. 1999 წელს ბატონი სერდარ იუჯელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტში საზღვარგარეთის საბანკო საქმიანობის განყოფილების სპეციალისტი გახდა. 2008 წელს ის დაინიშნა ამავე განყოფილების მენეჯერის პოზიციაზე. 2013 წლიდან ბატონი სერდარ იუჯელი მუშაობს თურქეთის იშბანკის შვილობილი კომპანიების მართვის დეპარტამენტში, 2016 წლიდან კი უკავია ამავე დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა.
ბატონი ჰუსეინ სერდარ იუჯელი არის სს „იშბანკი საქართველოს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის ივნისიდან.

აჰმედ ჰაკან უნალი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2023 წლის აპრილი - მიმდინარე ბატონმა აჰმედ ჰაკან უნალმა დაამთავრა ბილგის უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. ბ-ნი აჰმედ ჰაკან უნალი 2016-2020 წლებში იყო იშ ფაქტორინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ამავე პერიოდში ბ-ნი ჰაკანი იყო იშბანკის საპენსიო ფონდის აუდიტორი. მოგვიანებით, 2018-2020 წლებში მუშაობდა თურქეთის Sinai Kalkinma Bank-ში სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

ბ-ნი ჰაკანი შეუერთდა Isbank Turkey-ს Isbank Maslak-ის კორპორატიული ფილიალის ხელმძღვანელად 2020 წელს. ის გადავიდა თურქეთის Isbank-ის ბეშიქთაშის ფილიალის ხელმძღვანელად 2022 წელს.

ბ-ნი აჰმედ ჰაკან უნალი არის სს ისბანკ საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2023 წლის აპრილიდან.

ნათია ჯანელიძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ქალბატონი ნათია ჯანელიძე ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს ფინანსებში, მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის, (აშშ) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს.

ქალბატონ ნათია ჯანელიძეს საფინანსო სექტორში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მან დაიწყო კარიერა სს „თიბისი ბანკში" სესხების ოფიცრის პოზიციაზე. აშშ-ში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხის მოპოვებისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 2005 წელს მან განაგრძო მუშაობა თიბისი ბანკში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე, ხოლო 2007 წელს დაინიშნა კორპორატიული გაყიდვების უფროსის თანამდებობაზე. 2007 წელს ქალბატონი ჯანელიძე გადავიდა „ბანკ რესპუბლიკაში" (ჯგუფი "სოსიეტე ჟენერალი"), სადაც დაახლოებით 8 წლის განმავლობაში იმუშავა სხვადასხვა მმართველ თანამდებობაზე: 2007-2008 წლებში იყო კორპორატიული პორტფელის მართვის დეპარტამენტის უფროსი და, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების დეპარტამენტის უფროსი; 2008-2011 წლებში მას ეკავა ხარისხის მართვის

დეპარტამენტის უფროსის პოზიცია, ხოლო 2011-2012 წლებში - მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკინგის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა; 2012-2014 წლებში კი, განსაკუთრებულ დავალებათა კოორდინატორი იყო. 2015 წელს ქალბატონი ნათია გადავიდა ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ (ATIPFUND). 2007-2010 წლებში ქალბატონი ჯანელიძე, ასევე, კითხულობდა ლექციებს კავკასიის უნივერსიტეტში საბანკო საქმისა და სესხების სტრუქტურუზაციის მიმართულებით.

2015 წლიდან ქალბატონი ნათია ჯანელიძე არის „გაზელ ფაინანსში" (რეგიონალური საინვესტიციო ფონდი) საინვესტიციო/რეგიონალური დირექტრორი. ის, ამავდროულად, არის გაზელ ფაინანსის საინვესტიციო კომიტეტის

და პარტნიორობის წევრი. ნათია ჯანელიძე, ასევე, ხელმძღვანელობს ფინანსურ კომიტეტს ბიზნეს ასოციაციაში „ქალები მომავლისთვის“.

ქალბატონი ნათია ჯანელიძე სს ,,იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2019 წლის ივლისიდან.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

თამარ სანიკიძე , სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი – 2022 წლის აგვისტო - მიმდინარე

ქალბატონმა თამარმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრის ხარისხით. მას ასევე აქვს მაგისტრის ხარისხი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში საჯარო მმართველობაში. ამჟამად ქალბატონი თამარი მუშაობს დოქტორანტურაზე ბიზნესის ადმინისტრირებაში.

2019 წლიდან არის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და რექტორის მრჩეველი ხარისხისა და ეროვნული ხარისხის რეფორმის საკითხებში.

ქალბატონი თამარი 2018 წლიდან არის უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი თბილისში, Erasmus + ეროვნულ ოფისში.

ქალბატონი თამარი 2021 წლიდან არის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აკრედიტაციის პროგრამის აღიარების შემფასებელი.

2020 წლიდან თამარი არის აღმასრულებელი დირექტორი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი.

ისბანკ საქართველოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2022 წლის აგვისტოდან.

დირექტორთა საბჭო

ბანკის დირექტორთა საბჭოს ევალება ბანკის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე, შედეგებზე და საბჭოს საქმიანობის ბანკის მიზნების შესაბამისად წარმართვაზე. დირექტორატს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

დირექტორთა საბჭოს მოვალეობები და კომპეტენციაა:

ა) განახორციელოს ბანკის მიმდინარე საქმიანობა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული შიდა პოლიტიკისა და ბიზნეს გეგმის შესაბამისად;
ბ) მოამზადოს შეთავაზებები, გადაწყვეტილებების პროექტები, ანგარიშები და სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ მოთხოვნილი ან წარსადგენი ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია;
გ) მიიღოს გადაწყვეტილებები თანამშრომლების შერჩევის, გათავისუფლების და ანაზღაურების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები ბანკის ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით.
დ) მოამზადოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად მიმდინარე წლის ბიზნეს-გეგმა არაუგვიანეს წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში;
ე) ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის ყველა ფილიალს, სტრუქტურულ ერთეულს და დეპარტამენტს და უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისათვის სათანადო სერვისის მიწოდება;
ვ) შეიმუშავოს და მოამზადოს ბანკის ნებისმიერი და ყველა სახის წესები და შიდა რეგულაციები და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად;
ზ) მიაწოდოს ინფორმაცია ეროვნულ ბანკს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
თ) მიანიჭოს კომპანიის თანამშრომლებს ხელმოწერის უფლებამოსილება;
ი) გასცეს რწმუნებულება კომპანიის თანამშრომლებსა და მესამე პირებზე როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური ხასიათისს;

კ) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს და საერთო კრების მიერ დავალებული ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სახის მოქმედება;
ლ) განახორციელოს ბანკის მიერ გაცემული კრედიტების უზრუნველყოფის სახით, თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით მდებარე, უძრავი ქონების რეგისტრაციის სამმართველოებში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკის დატვირთვის შესაძლებლობასთან ერთად, მანამდე დატვირთული იპოთეკების მოხსნის უზრუნველსაყოფად, ბანკის გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილის ერთობლივი ხელმოწერით, მესამე პირებისთვის მინდობილობის მიცემის საკითხში უფლებამოსილების მინიჭება.

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება) დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა; წევრთა განათლება და გამოცდილება

ჰუსეინ ემრე ილმაზ, გენერალური დირექტორი – 2022 წლის ოქტომბრიდან

ბ-ნ ჰ. ემრე იილმაზმა დაამთავრა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, პოლიტიკური მეცნიერებისა და საჯარო ადმინისტრირების განყოფილება 1995 წელს ანკარაში. მან მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდება ამსტერდამის უნივერსიტეტში 2013 წელს.
ბატონმა ილმაზმა კარიერა თურქეთში დაიწყო ის Bankası A.Ş. 1996 წლის ივლისში ილმაზი ინსპექტორთა საბჭოს ინსპექტორის თანაშემწედ. იგი დაწინაურდა მენეჯმენტში და ზედიზედ მსახურობდა ის ბანკში ქვემოთ მოცემულ პოზიციებზე;

- კეციორენი /ანკარის ფილიალის მენეჯერი (2005 და 2007 წწ.);
- ამსტერდამის ფილიალის მენეჯერი (2007-2011 წწ.);
- ტრანსსასაზღვრო საბანკო განყოფილების უფროსი (2011-2014 წწ.);
- ბაირამფაშა /სტამბულის ფილიალის მენეჯერი (2014-2017 წწ.); საცალო საბანკო გაყიდვების სამმართველოს უფროსი (2017-2019); შიშლი /სტამბულის კომერციული ფილიალის მენეჯერი (2019-2022).

ბ-ნი ჰ. ემრე ილმაზი ბოლოს 2022 წლის ოქტომბერში დაინიშნა სს ისბანკ საქართველოს აღმასრულებელ დირექტორად და ქვეყნის მენეჯერად.
ის ასევე იყო შემდეგი კორპორაციების საბჭოების წევრი:

- Arap -Turk Bank (A&T Bank) (2011-2014);
- Anadolu Hayat საპენსიო და სადაზღვევო კომპანია (2017-2019);
- არის ბანკის მმართველთა საბჭო ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკაში (2017-2019); Arap -Turk Bank (A&T Bank) (2022 – 2023).

ბ-ნი ჰ. ემრე ილმაზი შეუერთდა სს ისბანკ ჯორჯიას 2022 წლის ოქტომბერში. ის არის გენერალური დირექტორი 2022 წლის ოქტომბრიდან.

ჰაქან ქურალ, გენერალური დირექტორის მოადგილე 2024 წლის ივნისამდე

ბატონმა ჰაქან ქურალმა ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები ეკონომეტრიკაში მიიღო დოქუზ ეიულის უნივერსიტეტში, იზმირში. ის ამჟამად არის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი აკდენიზის უნივერსიტეტში, ანტალიაში.
ბატონმა ქურალმა კარიერა 2006 წელს დაიწყო თურქეთის იშბანკის აკდენიზის კორპორატიულ ფილიალში კორპორატიული ბანკინგის მარკეტინგის სპეციალისტის პოზიციაზე. 2017 წელს ის დაწინაურდა ფილიალის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, სადაც ხელმძღვანელობდა ფილიალის მარკეტინგისა და გაყიდვების საქმიანობას, კორპორატიული დაკრედიტების, საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის, სვიფტების და სხვა ოპერაციებს.
ბატონი ქურალი სს „იშბანკ საქართველოს“ გუნდს შეუერთდა 2019 წლის ივლისში. 2019 წლის დეკემბრიდან მას უკავია გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა.

ჰუსეინ კარაბულუთი, გენერალური დირექტორის მოადგილე

ბ-ნ ჰუსეინს აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში და მაგისტრის ხარისხი ფინანსებში სტამბოლის უნივერსიტეტიდან.

2001 წლიდან მუშაობდა Türkiye İş Bankası A.Ş.-ში, ინსპექტორთა საბჭოს ინსპექტორად 2010 წლამდე, რის შემდეგაც იგი გადავიდა კომერციული სესხების ანდერაიტინგის განყოფილების მენეჯერის მოადგილედ.

ჰუსეინ კარაბულუთს აქვს საკრედიტო რეიტინგის სპეციალისტის ლიცენზია, კაპიტალის ბაზრის აქტივობების მე3 დონის ლიცენზია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ლიცენზია და კორპორატიული მმართველობის რეიტინგის ლიცენზია, რაც დამტკიცებულია თურქეთის კაპიტალის ბაზრების საბჭოს მიერ.
გარდა ამისა, ბ-ნი კარაბულუც ავრცელებს თავის ცოდნას საერთაშორისო დონეზე ლონდონის საბანკო და ფინანსების ინსტიტუტის დოკუმენტური საკრედიტო სპეციალისტების სერტიფიკატით (CDCS).

2023 წლის აგვისტოში ჰუსეინ კარაბულუთი დაინიშნა სს ისბანკ საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ და დირექტორთა საბჭოს წევრად.

აბდულვაჰაფ დოღან, 2024 წლის ივნისიდან დირექტორის მოადგილე

ბატონმა აბდულვაჰაფ დოღანმა ბაკალავრის ხარისხი ინონუს უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაიცვა.

ბატონმა დოღანმა კარიერა დაიწყო თურქეთის იშბანკში, გებზეს ფილიალში 2000 წელს, როგორც ოფიცერმა, ხოლო 2004 წელს დაინიშნა სავალუტო სამსახურის ოფიცრად იმავე ფილიალში. მოგვიანებით 2006 წელს გებზეს კორპორატიულ ფილიალში იმავე მოვალეობით გააგრძელა საქმიანობა, ხოლო 2009 წელს დააწინაურეს კოზიატაგის კორპორატიულ ფილიალში მეორე მენეჯერის თანამდებობაზე.
2014 წელს ბატონი ვაჰაფ დოღანი ამავე ფილიალში დაწინაურდა მენეჯერის მოადგილის თანამდებობაზე.

ბ-ნი აბდულვაჰაფ დოღანი 2024 წლის მაისში დაინიშნა სს იშბანკი საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ. ის არის იშბანკი საქართველოს დირექტორთა საბჭოს წევრი.

თურქეთის იშბანკში ბატონ დოღანს აქვს 24 წლიანი სამუშაო გამოცდილება.

უჩა სარალიძე, დირექტორი

უჩა სარალიძე დაიბადა თბილისში, 1988 წლის 26 ივნისს.

2009 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრის ხარისხით ეკონომიკაში. მიმდინარე ეტაპზე არის სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის სტატუსის მიღების კანდიდატი.

ბატონმა უჩა სარალიძემ კარიერა დაიწყო 2008 წელს თიბისი ბანკში, კორპორატიული რეპორტინგის მენეჯერის პოზიციაზე, სადაც მალევე დაწინაურდა უფროსი კორპორატიული მენეჯერის პოზიციაზე.
2010 წლიდან კარიერა განაგრძო იმავე ბანკში ფინანსების მართვის განყოფილებაში, უფროსი ფინანსური ანალიტიკოსის პოზიციაზე. აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა 4 წლის განმავლობაში. ფინანსური სექტორის გარდა, ბატონ უჩა სარალიძეს აქვს გამოცდილება სამშენებლო და წარმოების მიმართულებით საქართველოს ბაზარზე. მისი ძირითადი მოვალეობები ითვალისწინებდა ბაზრის ანალიზს, ფინანსური სტრატეგიების ინიცირებასა და საოპერაციო მიმართლებით გადაწყვეტილებების მიღებას.

ბატონი უჩა სარალიძე იშბანკს შემოუერთდა 2015 წელს მთავარი ბუღალტერის პოზიციაზე და ამავდროულად იკავებდა ფინანსური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. 2017 წლიდან ბანკში უკავია ფინანსური დირექტორის პოზიცია.

ბატონი უჩა სარალიძე არის სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი 2020 წლის

ბოლოდან. ბატონი უჩა სრულყოფილად ფლობს ინგლისურ ენას.

ვასილ აფხაზავა, რისკების დირექტორი 2022 წლის მარტიდან

ბატონი ვასილ აფხაზავა დაიბადა თბილისში, 1976 წლის 21 იანვარს. ბატონმა აფხაზავამ 1997 წელს დაამთავრა თბილისის საბანკო და საფინანსო ინსტიტუტი ბაკალავრის ხარისხით. მან 2007 წელს დაასრულა თბილისის მენეჯმენტის ევროპულ სკოლაში MBA-ის მთელი პროგრამა.

ბატონ ვასილ აფხაზავას აქვს საბანკო სფეროში მუშაობის 26 წლიანი გამოცდილება. 1996 წელს მან დაიწყო მუშაობა კარიერაზე, როგორც სესხის ოფიცერი. თიბისი ბანკში, თბილუნივერსალბანკსა და საქართველოს ბანკში ბატონმა აფხაზავამ სხვადასხვა თანამდებობაზე დაწინაურება მიიღო.

ბ- ნი აფხაზავა შეუერთდა სს ისბანკ საქართველოს გუნდს, როგორც რისკების მთავარი ოფიცერი და არის ისბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს წევრი 2022 წლის აპრილიდან.

დირექტორთა საბჭო კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემდეგი კომიტეტების მეშვეობით:

- რისკების კომიტეტი;
- აუდიტის კომიტეტი;
- საკრედიტო კომიტეტი;
- საკრედიტო ლიმიტების რევიზიის კომიტეტი.

ინფორმაცია კომიტეტების თავჯდომარეების შესახებ

• საკრედიტო კომიტეტის თავმჯდომარეა ბ-ნი ოლგუნ თუფან ყურბანოღლუ

• ბატონი ოზან უიარი არის ლიმიტის რევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე

• რისკების კომიტეტის თავმჯდომარეა ქალბატონი ნათია ჯანელიძე

• აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა ქალბატონი თამარ სანიკიძე

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

<u>რისკების კომიტეტი</u>

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია შესაბამისი რეკომენდაციები და მოსაზრებები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის არსებულ და მომავალ რისკის აპეტიტთან დაკავშირებით. კომიტეტი მონიტორინგს უწევს რამდენად ხდება ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

რისკების კომიტეტი:

ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
ბ) აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაციას ბანკის სტრატეგიაზე და ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიის განხორციელებაში მენეჯმენტის მიერ.
გ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად; დ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს;
ე) თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;
ვ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
ზ) მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა;

თ) წარუდგენს ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს გამოვლენილი მატერიალური რისკებისა და სხვა საკითხების შესახებ, მათ შორის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურის ეფექტური ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად, ბანკში არსებული რისკის კულტურის თაობაზე;
ი) აკონტროლებს არის თუ არა საფასო პოლიტიკა შესაბამისობაში ბანკის ბიზნეს მოდელთან და რისკების სტრუქტურასთან;
კ) აკონტროლებს საფასო პოლიტიკის შესაბამისობას ბანკის რისკების, კაპიტალის და ლიკვიდობის სტრუქტურასთან;
ლ) ადგენს სტრატეგიისა და რისკების ანგარიშების სახეს, მასშტაბს, ფორმასა და სიხშირეს;
მ) აფასებს ბანკის ანაზღაურების სისტემას და წარადგენს შესაბამის ანგარიშს.

საკრედიტო კომიტეტი საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია საკრედიტო პოლიტიკის შექმნაზე, განვითარებასა და შეთავაზებაზე ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსათვის დასადასტურებლად. კომიტეტი განსაზღვრავს

- ლიმიტებს მსესხებლებისათვის – იურიდიული და ფიზიკური პირები;
- ლიმიტებს საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის;
- ადგენს, ადასტურებს ან აუქმებს ლიმიტებს ბანკებთან ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციებისათვის;
- ადგენს საკრედიტო რისკის ლიმიტებს ფასიან ქაღალდებსა და სხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციისათვის.

საკრედიტო კომიტეტი აკონტროლებს ბანკის შესაბამისობას დამტკიცებულ ლიმიტებთან. განიხილავს სასესხო განაცხადებს, იღებს გადაწყვეტილებას ვალის რესტრუქტურიზაციაზე, ჩამოწერასა და ყველა სხვა შესაძლო ფაქტზე, რომელიც დაკავშირებულია ბანკის საკრედიტო რისკთან.

საკრედიტო ლიმიტების რევიზიის კომიტეტი
კომიტეტი განიხილავს:

- ბანკის საკრედიტო აქტივებს, მათ შორის ინფორმაციას სესხებისა და გარანტიების, კორპორატიული ბონდების, პორტფელის სეგმენტაციისა და პრობლემური აქტივების შესახებ
- ბანკის იმ კლიენტებს, რომელთა სესხები დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს საკრედიტო კომიტეტის მიერ (სესხები 1,500,000 აშშ დოლარიდან 3,000,000 აშშ დოლარამდე) ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (სესხები, რომლებიც აღემატება 3,000,000 აშშ დოლარს).

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

აუდიტის კომიტეტი აუდიტის კომიტეტი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც აკონტროლებს ბანკის აქტივობას ყველა მიმართულებით, ორგანიზაციის თითოეულ დონეზე. კომიტეტი პასუხისმგებელია პროცესების გაუმჯობესებაზე ყველა შესაძლო რისკის მინიმუმამდე დაყვანის გზით. აუდიტის კომიტეტი პირდაპირ დაქვემდებარებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან და მხარს უჭერს საბჭოს სხვადასხვა საკითხის მონიტორინგში, განსაკუთრებით:

- ბანკის სხვადასხვა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი;
- ბანკის რისკების მართვის მთლიანი სისტემის, განსაკუთრებით კი შიდა კონტროლისა და შესაბამისობის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა:
- გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობა და ინფორმაციას პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში გამჟღავნება
- შესაბამისი ზომების გატარება და აღმოჩენილი ნაკლოვანებების დროული გამოსწორების უზრუნველყოფა
- მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი "შიდა კონტროლის / აუდიტის / შესაბამისობის გეგმების" შესაბამისობის კონტროლი და დამტკიცება.

გარდა ზემოთ აღნიშნული კომიტეტებისა, ბანკს შექმნილი აქვს რამდენიმე შიდა კომიტეტი პროცესების უფრო ეფექტური კონტროლისათვის. ესენია: მენეჯმენტის კომიტეტი, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO), საკრედიტო, HR, შესაბამისობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტარიფების, შესყიდვების, რისკებისა და უმოქმედო სესხების და ფილიალების საქმიანობის საკოორდინაციო კომიტეტები.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების შემადგენლობა

2024 წლის მდგომარეობით:

■ თავმჯდომარე ■ წევრი	უდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკის კომიტეტი	ლიმიტის გადასინჯვის კომიტეტი
ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ		■		
ოზანი უიარი	■	■		■
აჰმეთ ჰაკან უნალ		■		■
ჰუსეინი სერდარი იუსელი			■	■
ნათია ჯანელიძე	■		■	
თამარ სანიკიძე	■		■	

2024 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	სამეთვალყურეო საბჭო	აუდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკის კომიტეტი	ლიმიტის გადასინჯვის კომიტეტი
ბატონი ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ	55/55		12/12		
ბატონი ოზან უიარი	51/55	3/4	12/12		1/1
ბატონი აჰმეთ ჰაკან უნალი	52/55		12/12		1/1
ბატონი ჰუსეინ სერდარ იუჯელ	55/55			4/4	1/1
ქალბატონი ნათია ჯანელიძე	48/55	4/4		4/4	
ქალბატონი თამარ სანიკიძე	48/55	4/4		4/4	

- სესხები 1.5 მილიონ დოლარამდე მტკიცდება საკრედიტო კომიტეტის მიერ, ხოლო 1.5 მილიონ დოლარზე ზევით სესხები - სამეთვალყურეო საბჭორს მიერ

კორპორატიული მმართველობა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები

ქალბატონო ნათია ჯანელიძეს უკავია Gazelle Finance-ის რეგიონული დირექტორის/მთავარი საინვესტიციო ოფიცრის თანამდებობა, რომელიც არ არის დაკავშირებული სს ისბანკ ჯორჯიასთან ან აქციონერთან, პირდაპირ თუ

ირიბად. ამასთან, მას არ აქვს და არ ჰქონია რაიმე პროფესიული ან პირადი ურთიერთობა ბანკთან/აქციონერთან/ადმინისტრატორებთან, პირდაპირ თუ ირიბად.

ქალბატონ თამარ სანიკიძეს უკავია აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი, რომელიც არ არის დაკავშირებული სს ისბანკ ჯორჯიასთან და აქციონერთან, პირდაპირ თუ ირიბად. ამასთან, მას არ აქვს და არ ჰქონია რაიმე პროფესიული ან პირადი ურთიერთობა ბანკთან/აქციონერთან/ადმინისტრატორებთან, პირდაპირ თუ ირიბად.

თამარ სანიკიძისა და ნათიას ჯანელიძის ბიოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჯანელიძემ დაადასტურა, რომ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტით განსაზღვრულ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრობის კრიტერიუმებს. კანდიდატებისთვის არ არის ცნობილი გარემოებები ან ფაქტორები, რომ ისინი არღვევენ/არ შეესაბამება რაიმე განსაზღვრულ კრიტერიუმს. ამიტომ ქალბატონი თამარ სანიკიძე და ნათია ჯანელიძე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებად სს იშბანკ საქართველოს აქციონერმა აირჩია.

რისკის მართვა

სტრატეგია

ყოველი წლის ბოლოს ბანკი ანხორციელებს მიმდინარე სიტუაციის დეტალურ შეფასებას და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი სამი წლისათვის. ბანკის სტრატეგია დეტალურად აღწერს იმ ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ბანკი გეგმავს მისი ძირითადი გეგმებისა და შედეგების მიღწევას. 2024 წლის დასაწყისში ბანკმა განსაზღვრა სტრატეგია 2024 – 2026 წლებისათვის. 2026 წლისათვის განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის ბანკი ძირითად ორიენტირებულია შემდეგ პრინციპებზე:

- განავითაროს და შეთავაზოს ციფრული პროდუქტების ფართო არჩევანი. ბანკი გეგმავს მომხმარებლებისათვის მაქსიმალურად განვითარებული ონლაინ მომსახურების შეთავაზებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია თითოეული კლიენტისათვის, ე.წ. „დრო ფულია“-ს პრინციპის გათვალისწინებით.

- მიიზიდოს და გაზარდოს მომხმარებელთა ბაზა მრავალფეროვანი პროდუქტების შეთავაზებით მოქნილი პირობებითა და კონკურენტული ფასებით. რადგან ბანკი ეკონომიკურად ძირითადად დამოკიდებულია მშობელ კომპანიაზე, იგი აპირებს გამოიყენოს მისი მაღალი რეპუტაცია და სანდოობა ფინანსური რესურსების კონკურენტულ ფასებში მოსაზიდად. ამ მიმართულების განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვალიფიციური თანამშრომლები გაყიდვების მიმართულებით, რაშიც ბანკი გეგმავს მნიშვნელოვან ინვესტიციას.

- დივერსიფიკაცია და კონცენტრაციის რისკის მინიმალური დონე , რადგან მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღი მდგრადი განვითარებისა და სტაბილური ზრდისათვის.

2024 -2025 წლების სტრატეგია დადასტურდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მენეჯმენტმა განსაზღვრა სტრატეგიის განხორციელების გეგმა, პროცესის ეფექტური კონტროლისათვის. გეგმებიდან მნიშვნელოვანი ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად, მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს პროცესს და წარუდგენს მიმდინარე სტატუსს აღმასრულებელ და სამეთვალყურეო საბჭოებს.

რისკის მართვა (გაგრძელება)

ძირითადი რისკები

ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, რისკების ეფექტური მართვა მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება, რადგან გარემო, სადაც ბანკი ოპერირებს, ხასიათდება განვითარებადი ბაზრების სპეციფიკაციით. ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც ბანკი დგას, დაკავშირებულია საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რეისკებთან.

რისკის მართვა საბანკო საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ბანკის ოპერაციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბანკის ძლიერი რისკების მენეჯმენტი ასახავს ბანკის რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტის მიერ არსებულ მნიშვნელობას რისკების სტრატეგიის ფორმირებაში და საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვისთვის. რისკის ყოვლისმომცველი მართვისთვის საჭირო ყველა კომპონენტი ჩართულია რისკების ორგანიზაციის სტრუქტურაში: საწარმოს რისკის მენეჯმენტი; საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვა; რისკების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და აიტი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა; ჯვარედინი რისკის ანალიტიკური საშუალებები და ტექნიკა, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და სტრესის ტესტირება. ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდობის რისკს და საბაზრო რისკს. ის ასევე ექვემდებარება სხვადასხვა ოპერაციულ და ბიზნეს რისკებს.
რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს ბანკის წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, შესაბამისი რისკის ლიმიტებისა და კონტროლის დადგენას, რისკების დონის მუდმივად მონიტორინგს და ლიმიტების დაცვას. რეგულარულად განიხილება რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რათა ასახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებებში და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ხელმძღვანელობის ზოგადი პასუხისმგებლობაა რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობა, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლება, თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა და ასევ დიდი კრედიტების დამტკიცება.
ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის დირექტორი საკითხებში პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშეა ანგარიშვალდებული.
საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე გარიგებების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების სისტემის, რისკების მართვის განყოფილების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ. მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვალებადობა და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლები და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

ბანკი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. მათი მონიტორინგი ხდება რეგულარულად და გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ბანკი მუდმივად აკონტროლებს, რომ სებ- ის სავალუტო პოზიციების ლიმიტები საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებით დაცული იყოს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ბანკის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ბანკს დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში), მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის წესები, და ჩამოყალიბებული აქვს საკრედიტო კომიტეტი, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი. საკრედიტო პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირისთვის ნებისმიერი სესხის გაცემამდე ბანკი მომხმარებლის ბიზნესისა და ფინანსური შედეგების კომპლექსურ შემოწმებას ატარებს.
საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდებობების მიღებით. ზემოაღნიშნული სესხების უზრუნველყოფის საგანს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა მნიშვნელოვანი არ არის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი. ბანკი ლიკვიდურობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ლიკვიდურობის პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ბანკი აქტიურად ცდილობს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზის შენარჩუნებას, რომ შეძლოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური მართვის და რისკის მართვის ქვეგანყოფილებები. ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ ხელმძღვანელობას კვირაში ერთხელ მიეწოდება. ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს და მათ ახორციელებს ხაზინის ქვეგანყოფილება. გარდა ამისა, ბანკი ახდენს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი ლიკვიდურობის კოეფიციენტის რეგულარულ მონიტორინგს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის სისტემის უკმარისობის, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის და გარეგანი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზარალის რისკი. როდესაც კონტროლი ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად, საოპერაციო რისკებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, ჰქონდეს იურიდიული ან რეგულირების გავლენა, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. ბანკი არ უნდა ელოდოს ყველა ოპერაციული რისკის აღმოფხვრას, მაგრამ ის ცდილობს ამ რისკების მართვას საკონტროლო ჩარჩოს მეშვეობით, პოტენციურ რისკებზე მონიტორინგისა და რეაგირების გზით. კონტროლი მოიცავს მოვალეობათა ეფექტურ დაყოფას, წვდომის, ავტორიზაციისა და შერიგების პროცედურებს, პერსონალის განათლებას და შეფასების პროცედურებს, როგორიცაა შიდა აუდიტის გამოყენება.

ანაზღაურება

1. შესავალი

1.1. წინამდებარე ანაზღაურების პოლიტიკა (შემდგომში „პოლიტიკა“ ან „ანაზღაურების პოლიტიკა“) შემუშავებულია სს „ისბანკ საქართველოს“ წესდების (შემდგომში „ბანკი“), „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსისა“ და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად . საქართველოს.

1.2. პოლიტიკა ითვალისწინებს ჯანსაღ კორპორატიულ კულტურასა და რისკების ეფექტურ მართვაზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემის შექმნას , ასევე ითვალისწინებს ორგანიზაციის გრძელვადიან ინტერესებს და არ წაახალისებს გადაჭარბებული რისკების აღებას .

1.3. ეს პოლიტიკა ადგენს ანაზღაურების სისტემას მთელი ბანკისთვის და დამატებით განსაზღვრავს კრიტერიუმებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, დირექტორთა საბჭოს წევრების, მატერიალური რისკის მატარებელი პირებისა და კონტროლის ფუნქციის მქონე პირებისთვის.

1.4. ამ პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს „სამეთვალყურეო საბჭო“ და „დირექტორთა საბჭო“ აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- სამეთვალყურეო საბჭო – ბანკის მმართველი ორგანო, რომელიც ბანკის წესდების მიხედვით ზედამხედველობას უწევს ბანკის საქმიანობას და შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.
- დირექტორთა საბჭო - ბანკის მმართველი ორგანო, რომელიც ბანკის წესდების მიხედვით მართავს და წარმოადგენს ბანკს და პასუხისმგებელია მისი ფუნქციების შესრულებაზე.

2. მართვის ჩარჩო და ზედამხედველობა

2.1. ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა და მისი ძირითადი პრინციპები განისაზღვრება და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

2.2. ეს სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს ამ პოლიტიკას და მის შესაბამისობას მოთხოვნებთან მასზე დაქვემდებარებული ანაზღაურების კომიტეტის მეშვეობით .

2.3. შრომის ანაზღაურების კომიტეტის შემადგენლობა, უფლებამოსილებები და მოვალეობები განისაზღვრება შრომის ანაზღაურების კომიტეტის წესდებით. კომიტეტი განიხილავს და განიხილავს ანაზღაურების გეგმებს, ამუშავებს და შედეგებს და უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის შესაბამისობას ბანკის საქმიანობასა და კორპორატიულ კულტურასთან, გრძელვადიან ბიზნეს გეგმებთან და რისკების მართვასთან, ასევე მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. ანაზღაურების პოლიტიკის პრინციპები და მიზნები

3.1. ანაზღაურების სისტემა წარმოადგენს ბანკის კორპორატიული მართვის მექანიზმის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს და ხელს უწყობს შემდეგი მიზნების მიღწევას:

3.1.1. რისკის მართვის სისტემის გაუმჯობესება ;

3.1.2. ბანკის კონკურენტუნარიანობის გაზრდა დასაქმების ბაზარზე;

3.1.3. უზრუნველყოს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა, შერჩევა, განვითარება და შენარჩუნება;

3.1.4. შესთავაზოს თანამშრომლებს ეფექტური, კონკურენტუნარიანი ანაზღაურება, რომელიც შეესაბამება ბაზარზე;

3.1.5. წაახალისეთ მაღალი ხარისხი შესრულებული სამუშაოს შესახებ ;

3.1.6. თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდა;

3.1.7. სამართლიანი და გამჭვირვალე ანაზღაურების პრაქტიკის მხარდაჭერა;

3.1.8. უზრუნველყოს ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისობა ბანკის ღირებულებებთან, მოქმედ შიდა რეგულაციებთან და საკანონმდებლო ბაზასთან .

3.2. ბანკის ანაზღაურების სისტემა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

3.2.1. სამართლიანობა - ანაზღაურება მიუკერძოებელი შეფასებით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე;

3.2.2. მდგრადი განვითარება - ბანკი თანამშრომლებს განიხილავს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ბანკის გრძელვადიანი მიზნების მიღწევას და მის მდგრად განვითარებას;

3.2.3. სიმარტივე და გამჭვირვალობა – ადვილად აღქმადი, გაზომვადი და ხელმისაწვდომი ანაზღაურების პოლიტიკა.

3.2.4. ბანკის ანაზღაურების სისტემის დანიშნულებამ უნდა წაახალისოს ქმედებები ჯანსაღი კორპორატიული მართვისა და რისკების მართვის მიმართულებით.

4. ანაზღაურების კომპონენტები ბანკის ანაზღაურების სისტემა შედგება შემდეგი ორი კომპონენტისგან :

4.1.1. ფიქსირებული ანაზღაურება

4.1.2. ცვლადი ანაზღაურება

4.2. ფიქსირებული ანაზღაურება

4.2.1. ბანკის თანამშრომლები ყოველთვიურად იღებენ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანაზღაურებას, რომელიც ასახავს და შეესაბამება თანამშრომელთა განათლებას, კვალიფიკაციას, კომპეტენციას და თანამდებობასთან დაკავშირებულ როლსა და მოვალეობებს, რომლებიც განსაზღვრულია სამუშაოს აღწერილობაში.

4.2.2. თანამშრომელთა ფიქსირებული ანაზღაურება არ იქნება დიფერენცირებული სქესის მიხედვით.

4.2.3. კონკურენტული ფიქსირებული ანაზღაურების შენარჩუნების მიზნით, ბანკმა შესაძლოა გადახედოს თანამშრომლების ანაზღაურებას ყოველწლიურად .

4.3 ცვლადი ანაზღაურება

4.3.1 ცვლადი ანაზღაურების მთავარი მიზანია ბანკის თანამშრომლების მოტივაციისა და პროდუქტიულობის გაზრდა და მაღალი ხარისხის მუშაობის დაჯილდოება . ბანკში ცვლადი ანაზღაურება განისაზღვრება ბანკის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებისა და თანამშრომლების მუშაობის ინდივიდუალური შედეგების საფუძველზე .

4.3.2 ბანკის მთლიანმა ცვლადი ანაზღაურების პოლიტიკამ არ უნდა შეაფერხოს ბანკს კაპიტალის ადეკვატურობის დადგენილი კოეფიციენტის დაცვა და სხვა ნორმებთან შესაბამისობა. საჭიროების შემთხვევაში, ცვლადი ანაზღაურების გადაუხდელობით, ბანკს უნდა შეეძლოს არ დაუშვას მარეგულირებელი კაპიტალის შემცირება.

4.3.3 ცვლადი ანაზღაურება გადაიხდება ბონუსის სახით. ბონუსის ჯამურ ოდენობას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო და წარმოადგენს ბანკის უფლებას და არა ვალდებულებას .

4.3.4 სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს შესრულებაზე დაფუძნებული ცვლადი ანაზღაურების მაქსიმალურ პროცენტს ფიქსირებულ ანაზღაურებასთან შედარებით, რათა უზრუნველყოს შესაბამისი ბალანსი ფიქსირებულ და ცვლად ანაზღაურებას შორის. წლიური ცვლადი შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების მაქსიმალური თანაფარდობა - მატერიალური რისკის მიმღებთა ანაზღაურების წლიური ცვლადი კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს მათი წლიური ფიქსირებული კომპონენტის მთლიანი ანაზღაურების 100%-ს.

4.3.5 გამონაკლის შემთხვევებში, გონივრული საფუძვლით, აქციონერთა უმრავლესობას შეუძლია დაამტკიცოს ფიქსირებულ და ცვლად კომპონენტებს შორის თანაფარდობის უმაღლესი მაქსიმალური დონე იმ

პირობით, რომ წლიური ცვლადი ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტის 200%-ს. ხოლო კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები უნდა დაიცვან.

4.3.6 ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეროვნულ ბანკს წლიური ცვლადი ანაზღაურების შემოთავაზებული მაქსიმალური კოეფიციენტის შესახებ და წარმოადგინოს არგუმენტები, რომ ახალი კოეფიციენტი არ დააბრკოლებს ბანკს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესრულებაში.

4.4. თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და ცვლადი ანაზღაურების უფლება

4.4.1. თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაო ფასდება მათი ხაზის მენეჯერის ან სხვა დაკავშირებული მენეჯერების მიერ , დასახული მიზნების, KPI s - შესრულების ძირითადი ინდიკატორებისა და შედეგების მიხედვით. წლის ბოლომდე თანამშრომელს უფლება აქვს მიიღოს ცვლადი ანაზღაურება, თუ იგი მუშაობდა მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში შეფასების წლის განმავლობაში.

4.4.2 პირებისთვის, რომლებიც იღებენ მატერიალურ რისკს (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა) ცვლადი ანაზღაურების დარიცხვის პერიოდი მოიცავს მთელი წლის შესრულებას.

ანაზღაურების სისტემის დამატებითი კრიტერიუმები სამეთვალყურეო საბჭოს წევრების**,** დირექტორთა საბჭოს წევრების**,** მატერიალური რისკის ქვეშ მყოფ პირთა და კონტროლის ფუნქციის მქონე პირთათვის**.**

5.1 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

5.1.1 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ ჩართულობას, აღებულ პასუხისმგებლობას, გაწეულ ძალისხმევასა და დათმობილ დროს რესურსებს. მათმა ანაზღაურებამ არ უნდა დააზარალოს მათი დამოუკიდებლობა.

5.1.2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება და მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას . ამასთან, სხვაობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმაღლეს წლიურ ანაზღაურებასა და ყველაზე დაბალ წლიურ ანაზღაურებას შორის არ უნდა იყოს ყველაზე დაბალი წლიური ანაზღაურების 30%-ზე მეტი .

5.2 პირები**,** რომლებიც იღებენ მატერიალურ რისკს

5.2.1. პირები, რომლებიც იღებენ არსებით რისკს ბანკში, გულისხმობენ ბანკის მიერ წინასწარ იდენტიფიცირებულ თანამშრომლებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია არსებითი რისკის წარმოშობასთან და, შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის რისკის პროფილზე.

5.2.2. პირები, რომლებიც იღებენ არსებით რისკს ბანკში, უნდა გამოვლინდნენ შემდეგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით:

5.2.2.1. პირი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

5.2.2.2. პირი არის დირექტორთა საბჭოს წევრი აღმასრულებელი დირექტორი

- აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
- დირექტორი
- რისკის დირექტორი

5.2.2.3. პირი ხელმძღვანელობს მატერიალური ბიზნესის განყოფილებას/ერთეულს

- AML და შესაბამისობის ხელმძღვანელი
- ხაზინის უფროსი
- იურიდიული სამსახურის უფროსი
- თავარი ბუღალტერი
- კორპორატიული გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილების უფროსი
- ანდერრაიტინგის ხელმძღვანელი

5.3 თანამშრომლები**,** რომლებსაც აქვთ კონტროლის ფუნქცია

5.3.1. ბანკში კონტროლის ფუნქციის მქონე პირები გულისხმობენ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროცესის ეფექტურობისა და ეფექტურობის შემოწმებაზე, მიუკერძოებელ შეფასებასა და შესაბამის ანგარიშგებაზე. თანამდებობებში შედის შიდა აუდიტის ხელმძღვანელი , R isk მენეჯმენტის უფროსი და შესაბამისობის სამსახურის უფროსი .

5.3.2. ბანკში კონტროლის ფუნქციის მქონე თანამშრომლების ანაზღაურება, მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, არ არის დამოკიდებული ზემოაღნიშნული პირების მიერ შემოწმებული ან/და მონიტორინგებული ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

6. გადავადების პრინციპები

6.1 ცვლადი კომპონენტისთვის, რომელიც შეადგენს ანაზღაურების არანაკლებ 40%-ს და ცვლადი კომპონენტისთვის, რომელიც შეადგენს ანაზღაურების არანაკლებ 60%-ს (აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 100%-ს ან/და 500,000 ლარს ან ექვივალენტს) გადავადდება 3-დან 5 წლამდე. .

6.2 დირექტორთა საბჭოს გადავადების ვადა არ უნდა იყოს 5 წელზე ნაკლები, ხოლო სხვა მატერიალური რისკის მქონე პირებისთვის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოკლებით) არანაკლებ 3 წელი.

6.3 გადავადებული ანაზღაურება ან სრულად დაიფარება გადავადების პერიოდის ბოლოს, ან გადანაწილდება გადავადების პერიოდში თანაბარი გადახდებით. თანაბარი გადახდის ვარიანტის შემთხვევაში, პირველი გადახდა შესრულდება გადავადების დაწყებიდან არა უადრეს პირველი წლის განმავლობაში და თანმიმდევრული გადახდა არ განხორციელდება 12 თვეზე ხშირად.

6.4 რაც შეეხება ისბანკ საქართველოს - ბანკს, არ არის კრიტიკული სისტემის ბანკების ან/და კრიტიკული ბანკების სიაში, მატერიალური რისკის მქონე პირებისთვის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარდა) გადავადების ვადა არ იქნება 3 წელზე ნაკლები. განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია, თუ ფიზიკური პირის წლიური ცვლადი ანაზღაურება არამატერიალური მასშტაბისაა (არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%-ს).

7. ცვლადი ანაზღაურების შესწორებები

7.1 შრომის კოდექსის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, მთლიანი ცვლადი კომპენსაცია შესაძლოა კორექტირებას დაექვემდებაროს. ცვლადი კომპენსაცია შეიძლება დაექვემდებაროს შემდეგ შესწორებებს:

7.1.1 შესწორება ანაზღაურების მინიჭებამდე შესრულებისა და რისკების მიხედვით

7.2.2 შრომის ანაზღაურების მინიჭების შემდეგ შესწორება შესრულებაზე და რისკებზე დაყრდნობით;

7.2 ცვლადი ანაზღაურების შემცირების/გაუქმების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული შესწორებების გამოყენება შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს:

7.2.1 ეკონომიკური კაპიტალი, ეკონომიკური მოგება, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დაბრუნება

7.2.2 კანონმდებლობის შესაბამისობის დარღვევა, რისკის ლიმიტები, შიდა კონტროლის ფუნქციით გამოვლენილი დარღვევები;

7.2.3 პირმა ჩაიდინა გადაცდომა, რამაც ბანკს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა

7.2.4 ინდივიდუალური არ აკმაყოფილებს შესაბამისობის სტანდარტებს

7.2.5 ინდივიდს აქვს გადაცდომა ან მნიშვნელოვანი არასათანადო საქციელი, მათ შორის ეთიკის კოდექსის ან შიდა წესების დარღვევა

7.2.6 ბანკის და/ან მასთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულის ფინანსური მაჩვენებლების (მაგალითად, კონკრეტული ბიზნესის ინდიკატორების) მნიშვნელოვანი გაუარესება გამოწვეული ინდივიდუალური

7.2.7 რისკის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეცდომები ბანკისა და/ან სტრუქტურული ერთეულის, სადაც დასაქმებულია დაჯილდოვებული ანაზღაურებით ფიზიკური პირი და შეცდომები გამოწვეულია ინდივიდუალური პირის მიერ;

7.2.8 ბანკის/სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური/სამეთვალყურეო კაპიტალის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ზრდა. დაჯილდოვებული ცვლადი ანაზღაურების უკან გამოძახების შემთხვევაში აღნიშნული საკითხები/პრობლემები გამოწვეული უნდა იყოს პირის მონაწილეობით.

7.2.9 იმ პირის ქცევა, რომელმაც მოითხოვა ბანკისთვის საზედამხედველო სანქციების დაწესება

8. საბოლოო დებულებები

8.1 ეს პოლიტიკა ძალაში შედის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ .

8.2 პოლიტიკა გადაიხედება საჭიროებისამებრ და როცა მოითხოვება ანაზღაურების რეგულაციების/სტანდარტების/საუკეთესო პრაქტიკის/საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებების გამო და /ან ბანკის წლიური შედეგები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ . ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიტიკა რეგულარულად განიხილება ყოველწლიურად.

8.3 საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ პოლიტიკით, რეგულირდება „ კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ბონუსების გამოთვლის ძირითადი პრინციპები

1. ბონუსების დარიცხვა იწყება Scorecard-ის სამიზნე მიღწევის 80%-დან
2. მთლიანი ბონუსის ოდენობა შეზღუდულია წლის წლიური მოგების 5%-ით

ფაქტორები, რომლებიც გამოიწვევს ცვლადი ანაზღაურების მინიჭების გაუქმებას, შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმი:

- სხვაობა კაპიტალის მოთხოვნილებასა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის უდრის 1%-ს
- და/ან ბანკის მუშაობის საერთო ქულა 80%-ზე ნაკლებია

წლიური ბონუსის შემწეობა და კომპონენტები მას შემდეგ, რაც ბანკის მთლიანი მიზნები მიიღწევა მინიმალური 80%-იანი ბონუსით, აქტიურდება .

ბონუს კომპონენტები:

- ✓ ბონუსის ძირითადი ღირებულება, პირდაპირ კავშირშია ბანკის მიზნის მიღწევასთან (მინიმუმ 80%)
- ✓ მიზნების მიღწევა - ეხება პერსონალს, რომელიც ყიდის საბანკო პროდუქტებს
- ✓ ზემოქმედების რეგულირება – ინდივიდების გავლენის კორექტირება შედეგებზე
- ✓ თანამშრომლების მუშაობის შეფასება - ტარდება ყველა თანამშრომლისთვის, ოფისის დამხმარე პერსონალის გამოკლებით (დასუფთავების ქალბატონები)

პრემიის გაანგარიშება თანამშრომლის 4 კატეგორიისთვის

1. კატეგორია: პერსონალი გაყიდვების ფუნქციით
2. კორპორატიული ფუნქციის მქონე პერსონალი (FI, ხაზინა, ფინანსები, ანდერრაითინგი)
3. კატეგორია: პერსონალი დამხმარე ფუნქციით
4. კატეგორია: პერსონალი კონტროლის ფუნქციით (AML & შესაბამისობა, რისკი, შიდა აუდიტი)

	Core Value (a)	Target Attainment Value (b)	Impact Adjustment (c)	Appraisal Score (d)	Final Score
1. Category	25%	200%	Variable	Variable	(a+(b*c))*SR*d
2. Category	100%	25%	Variable	Variable	(a+(b*c))*SR*d
3. Category	105%	0%	0%	Variable	a*SR*d
4. Category	105%	0%	0%	Variable	a*d

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა

წინამდებარე დოკუმენტი დამტკიცებულია სს “იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს მიერ. ნებისმიერი ცვლილება მასში უნდა დამტკიცდეს იგივე წესით.

საკრედიტო რისკების მართვის განყოფილება პასუხისმგებელია წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პროცედურების დანერგვასა და განხორციელებაზე. ინსტრუქციის გადახედვა წელიწადში მინიმუმ ერთხელ ან საჭიროებისამებრ განხორციელდება.

წინამდებარე პოლიტიკა ძალაშია 2021 წლის მაისიდან სს „იშბანკი საქართველო“ აღიარებს, რომ მისმა საქმიანობამ შეიძლება იქონიოს პირდაპირი ან ირიბი გავლენა გარემოზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე. ბანკის მიზანია პასუხისმგებლობით მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, რათა მინიმუმამდე შეამციროს გარემოსა და დაინტერესებულ წრეებზე გავლენა და გაამლიეროს ბანკის

აქციონრების გრძელვადიანი სარგებელი. სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭომ მიიღო წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის
პოლიტიკა, რომელიც აღწერს ბანკის ვალდებულებებს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ დაფინანსებაზე – პასუხისმგებლობის სულისკვეთებით გამსჭვალული კორპორატიული მმართველობის განუყოფელი კომპონენტის სახით. ბანკი კისრულობს ვალდებულებას საქმიანობა გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობით აწარმოოს. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სფეროში საერთაშორისო და სხვა საუკეთესო პრაქტიკის შენარჩუნებით ბანკი ვალდებულებას იღებს მისი კლიენტებიც მოქმედებდნენ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობით. ბანკი აღიარებს, რომ გარემოსაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენა და ანალიზი უნდა იყოს რისკების შეფასების ნორმალური პროცესის შემადგენელი ნაწილი. კლიენტებთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, შრომის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა და ასევე მდგრადი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის პრაქტიკის გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეფექტური კორპორატიული მმართველობის დემონსტრირებისას. კომერციული საკრედიტო საქმიანობისას რისკებზე დაფუძნებული, დარგობრივი, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სწორი შეფასების უზრუნველსაყოფად სს „იშბანკი საქართველომ“ შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები. ხსენებული დოკუმენტი სრულად ინტეგრირებულია ბანკის საკრედიტო რისკების მართვის პროცესში და რუტინულად გამოიყენება ყველა კომერციული (ე.ი. იურიდიულ პირებთან) ტრანზაქციის განხორციელებისას.
გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა, ისევე როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები, მათ განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტებთან ერთად, წარმოადგენს ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკის ძირითად კომპონენტებს. ბანკმა კონკრეტული კადრები დანიშნა შემდეგ თანამდებობებზე:
გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერი, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის კუთხით თანამშრომელთა დატრენინგება.
კრედიტ ოფიცერი, რომელსაც ევალება მიზნობრივი კლიენტი კომპანიის მოქმედი მოთხოვნების გარემოსდაცვითი შესაბამისობის შეფასება. მათ შორის ობიექტების მონახულება, საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის შეგროვება (მაგ. ინფორმაცია, ნებართვები, ავტორიზაცია) და გარემოსდაცვითი და სოციალური მოხსენებების მომზადება (ან საკრედიტო განაცხადის გარემოსდაცვითი და სოციალური განყოფილება); შესაბამისი გარემოსდაცვითი წარმომადგენლობების, გარანტიებისა და შეთანხმებების უზრუნველყოფა ყველა იურიდიულ ხელშეკრულებაში; პორტფელის პროექტების შემოწმება რეგულარულად მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად, ადგილზე ვიზიტი, წლიური მონიტორინგის ჩათვლით; ხსენებული პროცედურების გამოყენება მიზნად ისახავს იურიდიული პირების დაკრედიტებისას და ინვესტიციების განხორციელებისას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას ხსენებული პროცედურების გამოყენებით, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები და მინიმუმამდე შევამციროთ ბანკის ღია პოზიცია გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხებით განპირობებული ფინანსური, რეპუტაციის შემლახავი და იურიდიული რისკის ფაქტორებისგან და შესაბამისი ოპერაციებით გამოწვეული ვალდებულებებისგან.
ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურები გულისხმობს ოპერაციების კვალიფიცირებას და
კატეგორიზაციას, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენას, შესაბამის შეფასებას, შემცირებას, კონტროლს, მონიტორინგს და ანგარიშგებას. პროცედურა ითვალისწინებს ESG ანგარიშგების და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპების (2020 წლის თებერვალი) და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მუშაობის სტანდარტების (PS) და შესრულების მოთხოვნების (PR) შესაბამის განხილვას.
წიანმდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური რიეკების მართვის პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოფს ბანკის ოპერაციების შესაბამისობას პილარ 3 რეგულაციებთან, საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან, მდგრადი დაფინანსების გზამკვლევთან, ESG სტანდარტებთან და

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

საერთაშორისო საფინანსკო კორპორაციის რეგულაციებთან. ყველა კომერციული ტრანზაქციისთვის ბანკი მიიღებს შესაბამის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კლიენტი სრულ შესაბამისობაში იყოს გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ადგილობრივ და საერთაშორისო რეგულაციებთან და სტანდარტებთან.
გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბანკის ოპერაციების შესაბამისობას პილარ 3 რეგულაციებთან, საქართველოს კომერციული ბანკების მმართველობის კოდექსთან, პროცედურები ითვალისწინებს PS/PR – ების გამოყენებას, სადაც დაფინანსებული საქმიანობა პოტენციურად მნიშვნელოვანი სოციალური ან/და გარემოსდაცვითი რისკების მატარებელია. ასეთ შემთხვევებში სათანადოდ

განიხილება PS/PR– ების გამოყენების შესაძლებლობა და განისაზღვრება, თუ როგორია კონკრეტული გარიგება. ბანკი ითანამშრომლებს კლიენტთან, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად. გარკვეულ სიტუაციებში, ბანკს შეუძლია მიმართოს თავის პარტნიორებს, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შესაბამისი რჩევის ან/და დახმარების მიღების მიზნით. რათა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალურ რისკების სწორი მართვა კლიენტის დაფინანსებამდე.
ბანკის პროცედურების თანახმად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესაბამისი შეფასების განსაზღვრა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე და ყველა ოპერაციას შეეხება: სესხის სახეობა, მიზნობრიობა, მოცულობა, ვადები, გირაო და საქმიანობის დარგი.


ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურების განხორციელება გულისხმობს შემდეგი საკითხების შესაბამის გათვალისწინებას:
კვალიფიცირება – შემოთავაზებული საქმიანობა განეკუთვნება თუ არა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დადგენილ აკრძალულ საქმიანობას;
კატეგორიზაცია - რა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებია დაკავშირებული ასეთ საქმიანობასთან; შეფასება - კლიენტის საქმიანობასთან, წარმადობასთან და ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ფაქტიური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების და რისკების განსაზღვრა და ადექვატური შეფასება; რისკების პასუხისმგებლობის გრძნობით მართვისა და პოტენციური გავლენის მინიმუმამდე შემცირებისთვის გამოყოფილი რესურსების ანალიზი; კონტროლი – შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიკაცია და კოდიფიცირება (მაგ. სამოქმედო გეგმები, დათქმები, სხვ.) მონიტორინგი და ანგარიშგება ESG-ის ანგარიშგებისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპების და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის რეგულაციების შესაბამისად;
ხსენებული პროცედურების განხორციელებისას ბანკი რეგულარურად და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით ატარებს შესაბამისი თანამშრომლების საკადრო დატრენინგების კურსებს. ის ეყრდნობა საჯარო ინსტრუმენტების მრავალსახეობას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია გარემოსაცვითი და სოციალური რისკების მართვისას. სს „იშბანკი საქართველო“-ს სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგს:


- მდგრადობის ტრენინგი და ელექტრონული სწავლების პროგრამა (STEP) : https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-atifc/company-resources/tools+for+clients გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ვებინარები:
- https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-atifc/company-resources/ifc_sustainability_webinars
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვასთან დაკავშირებული ვებინარები: https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-atifc/company-resources/ifc_sustainability_webinars#FI-DD, განსაკუთრებით:

- პრაქტიკული სახელმძღვანელო გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) სათანადო შრომისმოყვარეობის შესახებ, IFC- ის ფინანსური შუამავლების საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობაში: https://www.youtube.com/watch?v=JWjCwUQb0D4&feature=youtu.be
- ეკოლოგიური და სოციალური მენეჯმენტის სისტემები და ინსტრუმენტები ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის - სანდრა აბიოლა: https://www.youtube.com/watch?v=g8ni5z4nkzU&feature=youtu.be

სს „იშბანკი საქართველო“ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურების სქემატური გამოსახულება წარმოდგენილია ქვემოთ, რომელშიც მოცემულია საკრედიტო განაცხადის შეფასების პროცესის ეტაპები, რომელიც განსაზღვრავს შეფასების პროცესის თანმიმდევრობას და რომლის მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურების განხორციელება.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება) გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სქემატური პროცედურები





* სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს კანონებს, რომლებიც ძირძველ მოსახლეობას და იძულებით გადასახლებულ ადამიანებს შეეხება

EIA = გარემოზე ზეგავლენის შეფასება, ESA = გადაშენების პირას არსებული ჯიშების შესახებ კანონი, IEE = პირველადი გარემოსდაცვითი შემოწმება გარემოსდაცვითი, IFI = და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, სოციალური რისკების მართვა IPP = (გაგრძელება ძირძველი მოსახლეობა) , PR = შესრულების მოთხოვნა, PS = შესრულების სტანდარტი, RP = განსახლების გეგმა, SR = უსაფრთხოების მოთხოვნები.

1. ოპერაციების კვალიფიცირება კორპორატიული, მცირე და საშუალო სექტორის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეამოწმოს დაფინანსებისთვის მოთხოვნილი საქმიანობა არის თუ არა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აკრძალული საქმიანობების სიაში (იხილეთ დანართი A).
   თუ დაფინანსებისთვის შემოთავაზებული საქმიანობა არ არის აკრძალული, საკრედიტო ოფიცერი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დასტური. თუ დასტური საჭიროა, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერი ამის თაობაზე თხოვნით მიმართავს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკონტაქტო პირს.
   თუ საქმიანობა არ არის აკრძალული და/ან თუ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წინასწარი დასტური არ არის საჭირო, ან თუ საჭირო დასტური მიღებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან, შემოთავაზებული ოპერაცია ჩაითვლება დაფინანსებისთვის კვალიფიციურად ბანკის საკრედიტო ოფიცრის მიერ. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები საკრედიტო ოფიცრის მიერ ჩაიდება მსესხებლის საქმეში. სესხის გამოყოფის შემდეგ ყველა დოკუმენტი უნდა ინახებოდეს საკრედიტო ადმინისტრაციის დეპარტამენტში. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერი განახორციელებს ოპერაციის რისკის ანალიზს, ქვემოთ აღწერილი გარემოსდაცვით და სოციალურ რისკის მართვის პროცედურების შესაბამისად.

2. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიზაცია

სს „იშბანკი საქართველოს“ მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიზაცია ხდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და საქართველოს ეროვნული ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად.

დაბალი რისკი - ოპერაცია მინიმალური ან არანაირი საზიანო ეფექტის მქონეა სოციალურ ყოფაზე ან გარემოზე. ზოგადად ასეთი შემთხვევების შემდგომი ანალიზი აღარ ხორციელდება (გამოვლენის და ამგვარად იდენტიფიცირების შემდეგ). მოთხოვნები გულისხმობს მხოლოდ კლიენტის დასაბუთებას, სერტიფიცირებას ან შესაბამისობას გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან შრომის საერთაშორისო ან ეროვნულ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის შესახებ. საშუალო რისკი – ოპერაციები სოციალურ ყოფაზე ან გარემოზე საზიანო ეფექტის შეზღუდული პოტენციალით. ასეთი შემთხვევები მცირე რაოდენობისაა და ადგილმდებარეობის მიხედვით განისაზღვრება, მეტწილად გამოსწორებადია, უდაოდ შეიძლება მისი გამოვლენა შეფასების ეტაპზე და თავისუფლად გვარდება რისკის შემცირების ზომების გამოყენებით. ამას ტიპიურად სჭირდება შეზღუდული ან აქცენტირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური შეფასება. მეორე ალტერნატივაა გარემოსდაცვითი ზომების, დაბინძურების ნორმების, დიზაინის კრიტერიუმების ან სამშენებლო სტანდარტების პირდაპირი მიყენება.
მაღალი რისკი – ოპერაციები პოტენციურად უდაოდ მაღალი, უარყოფითი და/ან გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ეფექტით, რომლის მასშტაბების განსაზღვრაც შეიძლება რთული იყოს სესხზე განაცხადის წარდგენისას. ამას სჭირდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ეფექტის ანალიზი ბანკის კლიენტის ფუნქციონირების გავლენის მთლიანი არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების სფეროში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, რომლებზეც მისი წარმოების გავლენა განსხვავებული ან დისპროპორციული შეიძლება იყოს.
მაღალი/კატეგორია A - პოტენციურად მაღალი საზიანო ეფექტით სოციალურ ყოფაზე ან გარემოზე, რაც შეიძლება გახდეს მრავალმხრივი, გამოუსწორებელი ან უპრეცედენტო. შესწავლა მოითხოვს დამოუკიდებელი გარეშე ექსპერტების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართვას სიღრმისეული შესწავლის/ შეფასების პროცესში.

კვალიფიცირებული ოპერაციების კატეგორიზაცია მოხდება (მათ შორის NACE კოდებით, ამ ოპერაციებთან ტიპიურად დაკავშირებული შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესაბამისად) საკრედიტო ოფიცრის მიერ, რომელსაც გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მენეჯერი ვიზირებით დაამტკიცებს.

გარდა იმ ტრანზაქციებისა, რომლებიც შეფასებულია დაბალ რისკად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, ბანკის, პოლიტიკის შესაბამისად, ასევე ახდენს ყველა კომერციული გარიგების კლასიფიკაციას, ?????? თანხაზე ნაკლები, როგორც დაბალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკი, ვინაიდან ზოგადად მიიჩნევა, რომ ასეთი გარიგებები სოციალურ გარემოზე მინიმალური რისკის მატარებელია, ან რისკი საერთოდ არ არსებობს.

ყველა ტრანზაქციისთვის, რომლებიც შეფასებულია როგორც დაბალი რისკი, კლიენტები ვალდებულნი არიან დაიცვან შესაბამისი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დაცვის, შრომის კანონები და სხვა მოთხოვნები. PS/PR მოთხოვნები არ გამოიყენება დაბალი რისკის კატეგორიებად შეფასებულ ტრანზაქციებზე.

საშუალო ან მაღალი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკის მქონე ოპერაციებისთვის ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასება შეესაბამება კლიენტის საქმიანობის ხასიათს და მასშტაბებს. კლიენტისგან ბანკი მოელის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის შესაბამისი კანონმდებლობის განუხრელ დაცვას, საჯარო ინფორმაციის გამჟღავნების და კონსულტაციების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ხოლო როდესაც ბანკის მიერ დაფინანსებული ოპერაცია გარემოზე ან სოციალურ ყოფაზე, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია, დროის გონივრულ მონაკვეთში ოპერაცია უნდა მოექცეს შესაბამისობაში PS/PR მოთხოვნებთან.
მაღალი რისკის/A კატეგორიის ოპერაციების თაობაზე სს „იშბანკი საქართველო“ ვალდებულია ინფორმაცია შეატყობინოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას.
მაღალი რისკის/A კატეგორიის ოპერაციებისთვის მოწვეული კონსულტანტი უნდა ჩაერთოს ESDD ანგარიშის მომზადების პროცესში.
ზემოთხსენებული საშუალო და მაღალი რისკის ოპერაციების მოთხოვნების გარდა, გარკვეული მაღალი რისკის და ყველა A კატეგორიის ოპერაციებისთვის კლიენტს მოეთხოვება წარმოადგინოს დამოუკიდებელი ტექნიკური მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მის საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მენეჯმენტის, მონიტორინგის და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას და სამოქმედო სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობას.

3.გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება დაბალი
რისკის მქონე ოპერაციები

დაბალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მქონე ოპერაციებისთვის საკრედიტო ოფიცერი კლიენტს აცნობებს ბანკის მოთხოვნებს. შესაბამისად, კლიენტმა უნდა წარმოადგინოს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და შრომის ყველა კანონთან და მარეგულირებელ აქტთან მისი შესაბამისობის სერტიფიკატი (ან მატერიალური შეუსაბამობის არქონის დოკუმენტი). საკრედიტო ოფიცერი საკრედიტო დასკვნაში ასახავს კლიენტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს.

საკრედიტო ოფიცერი ამოწმებს შესაბამისობას გარემოსდაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დაცვისა და შრომის კანონმდებლობის შესაბამის ეროვნულ კანონებთან.

საშუალო რისკის მქონე ოპერაციები

ზემოთხსენებული დაბალი რისკის მქონე ოპერაციების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების გარდა, საშუალო გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკის შემცველი ყველა ოპერაციისთვის საკრედიტო ოფიცერმა უნდა გამოავლინოს და შეაფასოს ასევე კლიენტის საქმიანობასთან და სამოქმედო სფეროსთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები.
საკრედიტო ოფიცერი გამოიყენებს შესაბამის დარგობრივ მითითებებს, რომელიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ, რათა გაეცნოს პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ კლიენტის ბიზნეს საქმიანობასთან. მათი გააანალიზების შემდეგ საკრედიტო ოფიცერი ეწვევა კლიენტს ამ პოტენციური რისკების განსახილველად და შესაფასებლად, რათა იხილოს რამდენად აქტუალურია ისინი ამ კლიენტის საქმიანობაში და პასუხისმგებლობის გრძნობით თუ ეკიდება ამ რისკების მართვას კლიენტი.
ობიექტის დათვალიერებისას საკრედიტო ოფიცერი განიხილავს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, სოციალური დაცვის და შრომით სფეროში შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასთან კლიენტის შესაბამისობას. ის გამოიყენებს სამოქმედო სტანდარტების და მოთხოვნების შემოწმების მითითებებს (დანართი B) კლიენტის საქმიანობის მათთან დადარების და აქტუალურობის განსაზღვრის მიზნით. თუ რომელიმე PS/PR მოთხოვნა გასათვალისწინებელია, საკრედიტო ოფიცერმა უნდა შეაფასოს კლიენტის შესაბამისობა PS/PR მოთხოვნებთან და კლიენტს გააცნოს შესაბამისი გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხები და მოთხოვნები, რომლებიც ინიცირებულია PS/PR მოთხოვნებით.
საკრედიტო ოფიცერი შეადგენს მოკლე საინფორმაციო ბარათს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ, რომელსაც განსახილველად წარუდგენს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერს, სანამ განაცხადი საკრედიტო კომიტეტზე განიხილება. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების საინფორმაციო ბარათი კლიენტის საკრედიტო საქმის ნაწილი გახდება და მის საქმეში ჩაიდება.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

მაღალი რისკის მქონე ოპერაციები
საშუალო რისკის მქონე ოპერაციებისთვის აღწერილი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების გარდა, ყველა მაღალი და A კატეგორიის მქონე ოპერაციებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესაფასებლად სს "იშბანკი საქართველო" გარე კონსულტანტს მოიწვევს, იმის დასადგენად შესრულებული არის თუ არა ყველა გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები (დაკავშირებული შეფასება და/ან აუდიტი). ასევე დაადგინოს საჯარო განხილვებისა და დაინტერესებული წრეების მონაწილეობის საჭიროება, კლიენტის მიერ რისკის შემცირების ყველა საჭირო განხორციელების სტატუსი ან მისაღებ დროის ვადებში მათი განხორციელების განზრახვის არსებობა.
გარე კონსულტანტი დაქირავებული უნდა იყოს ყველა მაღალი და A კატეგორიის პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლის პროცესში მონაწილეობისთვის, რათა შეფასდეს მოთხოვნებთან კლიენტის შესაბამისობა (რაც გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის გარემოსდაცვითი და სოციალური კანონებითა და მარეგულირებელი ნორმებით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სამოქმედო სტანდარტებით).

ყველა მაღალი რისკის/A კატეგორიის პროექტები გაიცხრილება PS/PR მოთხოვნების შეფასების ინსტრუქციით, დანართში B წარმოდგენილის თანახმად.

A კატეგორიის ოპერაციები

A კატეგორიის ოპერაციებისთვის ან როდესაც ოპერაცია გულისხმობს „გრინფილდის“ ტიპის პროექტს (ანუ სრულიად ახალ ბიზნესს და არა არსებულის გაფართოებას) ან მაღალი რისკის მქონე საქმიანობის მსხვილი გაფართოების ან მოდიფიკაციისთვის საკრედიტო ოფიცერი უზრუნველყოფს აუციელებელი გარემოზე ზეგავლენის შეფასების, საჯარო განხილვების, დაინტერესებული წრეების ჩართულობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.*

*თუ ოპერაცია პოტენციურად გულისხმობს გარემოსდაცვით და სოციალურ გავლენას, რამაც შეიძლება მაღალი რისკად ან A კატეგორიად აქციოს პროექტი, მისი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური დაცვის დოკუმენტები განხილული და შეფასებული უნდა იყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნების შესაბამისად.

ყველა ოპერაცია

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების საბოლოო შეფასებაზე და მათ თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად ყველა საჭირო ზომის განხორციელებაზე ამჟამად ან მომავალში. საკრედიტო ოფიცერი გამოიყენებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებს, რაც გულისხმობს თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ელ. სახელმძღვანელოთი, და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გზამკვლევით. ამგვარად განისაზღვრება თუ შესაბამისი და საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია ოპერაციის რისკების შესახებ ხელმისაწვდომია. განისაზღვრება ასევე რამდენად გააჩნია ამჟამად ან მომავალში კლიენტს დამცავი მექანიზმები, რათა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები მაღალი პასუხისმგებლობით მართოს.
როდესაც დაგირავებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება ?????????? ლარს, შიდა შემფასებელი გაითვალისწინებს მიწის დაბინძურების პოტენციალს. შემფასებელი შეეცდება განსაზღვროს მიწა დაბინძურებული იყო წინა გამოყენების შედეგად თუ არა, გარემოსდაცვითი აუდიტი ოდესმე ჩატარებულა თუ არა. მის მიერ ჩატარებულ ანალიზს მოკლედ დაახასიათებს შეფასების აქტში და კლიენტის საკრედიტო საქმეში შეიტანს. მნიშვნელოვანი რისკის შემცველი დაბინძურების შემთხვევაში, თუ არ ჩატარებულა შესაბამისი გარემოსდაცვითი აუდიტი, ბანკმა შეიძლება კლიენტს სესხის დამტკიცებამდე მოსთხოვოს გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება (მაკორექტირებელი ზომების გეგმის მომზადების ჩათვლით).
გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზანია განისაზღვროს რამდენად ფუნქციონირებს კლიენტი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ბანკის თანამშრომლებმა რომ შეძლონ ასეთი დასკვნის გაკეთება, მათ კარგად უნდა ესმოდეთ ზოგადად მათი კლიენტების გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებები. ბანკის თანამშრომლები ინფორმირებულნი რომ იყვნენ ამ სფეროში, კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტების იურიდიული კადრები პასუხისმგებელნი იქნებიან გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და შრომითი კანონმდებლობის ცვლილებების მონიტორინგზე, მათ შესახებ დეპარტამენტში თანამშრომლების ინფორმირებაზე, როდესაც ამ მნიშვნელოვან შემოთავაზებულ ან ფაქტიურ ცვლილებებს ბანკის კლიენტებზე მატერიალური გავლენა ექნებათ.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

4. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კონტროლი კრედიტ ოფიცერი პასუხისმგებელია დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების საფუძველზე განსაზღვრული მაკონტროლებელი ზომების შესრულების კონტროლზე და კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შემცირებისთვის განსაზღვრულ ნაბიჯებზე. ნავარაუდევი გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებზე დაყრდნობით რისკის კონტროლის სტრატეგია შეიძლება გულისხმობდეს კლიენტისგან კონკრეტული ქმედებების მოთხოვნას, გარკვეული ინვესტიციების განხორციელებას ან კონკრეტული გარემოსდაცვითი ან სოციალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას და განხცორციელებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან შემცირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება და/ან კონკრეტული მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნები. საკრედიტო ხელშეკრულება შეიძლება დათქმების სახით მოიცავდეს ხსენებულ მოთხოვნებს.
როგორც მინიმუმ, საკრედიტო ხელშეკრულება ყველა კლიენტისგან მოითხოვს წერილობით დაადასტურონ, რომ მათი საქმიანობა შეესაბამება გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, შრომის და შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო და

ეროვნულ რეგულაციებს და სტანდარტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკს კლიენტმა უნდა აცნობოს ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ.

5. მონიტორინგი

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგი ხორციელდება სს „იშბანკი საქართველო“-ს მიერ დადგენილი მონიტორინგის პროცედურების ფარგლებში. კრედიტ ოფიცერი პერიოდულად განახორციელებს რისკების მონიტორინგს შესაბამისი კატეგორიის მიხედვით (მინიმუმ ყოველ ექვს თვეში). მნიშვნელოვანი რისკის შესახებ საინფორმაციო ბართი თან დაერთვება ზოგადი მონიტორინგის საბუთებს და შეინახება კლიენტის საკრედიტო საქმეში.

საგანგებო სიტუაციები

ბანკის კლიენტები ვალდებულნი არიან ბანკს აცნობონ ის შემთხვევები და ინციდენტები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ან სავარაუდოდ ექნებათ მნიშვნელოვანი საზიანო ეფექტი გარემოზე, ადამიანების ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე (მაგ. თანამშრომლებზე, მეზობლებზე, მომხმარებლებზე). იქვე უნდა აცნობონ ამ ინციდენტების საპასუხოდ კლიენტის მიერ დაგეგმილ ან განხორციელებული რეაგირების ზომებზე, რაც მათ იურიდიულ ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანს.
შეტყობინება საგანგებო სიტუაციის შესახებ სავალდებულოა ბანკის ყველა ტიპის სესხზე, მიუხედავად მათი გარემოსდაცვითი რისკის დონისა, თანხობრივი ოდენობისა, ტიპისა ან ვადისა.
კონკრეტულად, შემდეგი მოვლენები უნდა იქნეს მიჩნეული ინციდენტებად, რომლებსაც მნიშვნელოვნად საზიანო ეფექტის მოხდენა შეუძლია გარემოზე, ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე:

- თუ ნებისმიერი შესატყვისი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან შრომის კანონმდებლობა მოითხოვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამთავრობო უწყების ან დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- თუ ინციდენტი გულისხმობს მნიშვნელოვან დაბინძურებას, ფატალურ შემთხვევას ან სერიოზულ, მრავლობით ტრამვებს, რის გამოც ჰოსპიტალიზაციაა საჭირო;
- თუ ინციდენტი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ან სხვაგვარად.

სს „იშბანკი საქართველო“ ინფორმაციას მიაწვდის პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს ასეთი ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის (ავარიის ან ინციდენტის) შესახებ, თუ მის რომელიმე კლიენტს შეემთხვა და უკვე ჰქონდა ან სავარაუდოდ ექნება მნიშვნელოვანი საზიანო ეფექტი გარემოზე, ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე. შეტყობინება განხორციელდება ფაქტის გამოვლენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში (კლიენტის ან სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

6. ანგარიშგება და ინფორმაციის გამჟღავნება ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკთან და

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან.

სს „იშბანკი საქართველო“ მიაწვდის ESG - სთან დაკავშირებულ ინფორმაციას შემდეგი ელემენტების შესაბამისად, რომლებიც აისახება საანგარიშო ფორმატში (დანართი D):

ა) ბიზნესის მოდელი;

ბ) პოლიტიკისა და ESDD-ს პროცესების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;

გ) შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება;

დ) ინფორმაციის გამჟღავნება ძირითადი რისკებისა და მენეჯმენტის შესახებ;

ე) ინფორმაციის გამჟღავნება შესრულების ძირითადი ინდიკატორების შესახებ.

ანგარიშგების ფორმა შეესაბამება ეროვნული ბანკის ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპებსა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის რეგულაციებს.

დანართი A – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამორიცხული სია

I. საქმიანობის ჩამონათვალი, რომლის დაფინანსებაც გამორიცხულია სს „იშბანკი საქართველო “-ს მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამორიცხული სიის თანახმად.

1. ბანკი არ დააფინანსებს საქართველოს კანონმდებლობით ან ნორმატიული აქტებით, საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით უკანონოდ მიჩნეული ნებისმიერი საქონლის წარმოებას ან ვაჭრობას
2. ზემოთხსენებულის ზოგადი ბუნების შეზღუდვის გარეშე, ბანკი არ დააფინანსებს და არც დაამტკიცებს სესხებს შემდეგი საქმიანობისთვის:
    a. იძულებითი ან არასრულწლოვანთა[1] საზიანო ან ექსპლუატატორული შრომის შემცველი წარმოება ან
    საქმიანობა[2] [15]
    b. მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით ან მარეგულირებელი ნორმებით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და უკანონოდ მიჩნეული პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა
    c. პორნოგრაფიასთან ან პროსტიტუციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბიზნესი,
    d. ველური ბუნებით და მისი პროდუქტებით ვაჭრობა „კონვენცია გადაშენების გზაზე მყოფი და ველური ბუნების ფლორისა და ფაუნის საერთაშორისო ვაჭრობაზე“ ფარგლებში [5]
    e. საზიანო მასალების წარმოება და ვაჭრობაში გამოყენება, მაგ. რადიოაქტიური მასალების[6] სახით, მათ შორის ატომური რეაქტორის და მისი კომპონენტების, დაუშლელი აზბესტის ბოჭკოს [14]
    f. მეზობელ ქვეყნებს შორის ვაჭრობა ნარჩენებით და ნარჩენი პროდუქციით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ბაზელის კონვენციასთან და მის ქვე–ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაშია კომპანიის საქმიანობა.[17]
    g. გადასაგდები ბადით თევზაობა საზღვაო აკვატორიაში, თუ ბადის სიგრძე აღემატება 2.5 კილომეტრს,
    h. თევზაობა საზღვაო აკვატორიაში ან სანაპიროზე, მაგ. დიდი მასშტაბის პელაგიური გადასაგდები ბადის გამოყენებით და თხელი ნაქსოვი ბადით, რაც საზიანოა დიდი რაოდენობის დაუცველი და დაცული ჯიშებისთვის და ხელყოფს საზღვაო აკვატორიის ბიომრავალფეროვნებასა და ჰაბიტატს,
    i. ფარმაცევტული[3], მასალების, პესტიციდების/ჰერბიციდების[4], ქიმიური ნივთიერებების, ოზონოს გამცვეთი ნივთიერებების[8] და სხვა საზიანო მასალების[19] წარმოება და ვაჭრობაში გამოყენება, რაც ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს ეტაპობრივი შემცირების მიზნით,
    j. კრიტიკული ჰაბიტატის [10] ხელყოფა[9].
    k. მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული საქმიანობა, რაც უკავშირდება ბიომრავალფეროვნების რესურსების დაცვას[18].
    l. კრიტიკული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი სახეცვლილება, ზიანი ან გაქრობა [20]
    m. რასისტული, ანტი–დემოკრატიული და/ან ნეო–ნაცისტური მასალების წარმოება და გავრცელება.
    n. იარაღის და აღჭურვილობის, ასევე პარამილიტარისტული მასალების[13] [21] წარმოება და ვაჭრობა [12] o. თამბაქოს[13] წარმოება და ვაჭრობაა[12]
    p. ალკოჰოლური სასმელების (ლუდის და ღვინის გარდა)[13] წარმოება და ვაჭრობა[12]
    q. სათამაშო ბიზნესი, კაზინო და მსგავსი ობიექტები [12] [13].
    r. პოლიქრონიზებული ბიფენოლის შემცველი პროდუქციის და სხვა საზიანო ქიმიური მასალების [19] წარმოება და გამოყენება[7]
    s. ხისა და სხვა სატყეო მასალების წარმოება ან ვაჭრობა, მდგრადი განვითარების პრინციპით მართვადი ტყის რესურსების გარდა,
    t. კომერციული მორების წარმოება ან სამორე აპარატურის შესყიდვა პირველად ტროპიკული ტენიანობის ტყეებში ან ძველ ნაზარდ ტყეებში გამოსაყენებლად
    u. ნავთობისა და სხვა საზიანო ნივთიერებების გადაზიდვა ცისტერნებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნებს [20]
    v. შესაბამისი ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის აუცილებელი ლიცენზიების და სხვა სატრანზიტო ნებართვების გარეშე საქონლით ვაჭრობა.

w. ნებისმიერი კომერციული სამორე საქმიანობა პირველადი ტროპიკული ტენიანობის ტყეებში გამოსაყენებლად

სქოლიო:

1) იძულებითი შრომა არის საქმე ან მომსახურება, რომელიც არ სრულდება ნებაყოფლობით და რომელიც დაშინების ან ჯარიმის სახით ეკისრება ადამიანს – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების თანახმად,

2) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების კონვენციების თანახმად, სამსახურში შეიძლება დასაქმდეს ადამიანი, რომელსაც უკვე შეუსრულდა 14 წელი (კონვენცია მინიმალური ასალის შესახებ, C138, მუხლი 2), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესა ადგილობრივი კანონმდებლობა სავალდებულო სასკოლო დასწებას ან დასაქმების მინიმალურ ასაკად სხვა ასაკია მითითებული. ასეთ შემთხვევებში უპირატესობა მიენიჭება ამ ორ შორის მეტ წლოვანებას.

3) ფარმაცევტული პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც ეტაპობრივი ამოღების საერთაშორისო მექანიზმს ექვემდებარება შეგიძლიათ იხილოთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინტერნეტ გვერდზე http://www.who.int.

4) პესტიციდების და ჰერბიციდების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება ეტაპობრივი ამოღების ან აკრძალვის მექანიზმს ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდზე ინტერნეტში http://www.pic.int.

5) „კონვენცია გადაშენების გზაზე მყოფი და ველური ბუნების ფლორისა და ფაუნის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. ეს ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ინტერნეტში ევრობანკის გვერდზე და ასევე კონვენციის გვერდზე hrrp://www.cites.org,

6) ეს არ ეხება სამედიცინო აპარატურის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აპარატურას და სხვა აპარატურის შემენას, სადაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, გერმანიის საერთაშორისო განვითარების საინვესტიციო კომპანია და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს მიაჩნიათ, რომ რადიოაქტიური წყაროები ტრივიალურია და/ან ადექვატურად დაცული.

7) პოლიქრონიზებული ბიფენოლი არის ძალიან ტოქსიკური ქიმიური ელემენტების ჯგუფი, რაც სავარაუდოდ 1950–1985 წლებში წარმოებულ ზეთოვან ელექტრო ტრანსფორმატორებში, სტიმულატორებში და გადამრთველებში გვხვდება,

8) ოზონის გამცვეთი ნივთიერებები; ქიმიური ნაერთები, რომლებიც რეაგირებენ და ცვეთენ სტრატოსფერულ ოზონს, რაც ხვრელებს წარმოქმნის ოზონის ფენაში. მონრეალის პროტოკოლში ჩამოთვლილია ნივთიერებები და მათი სამიზნე შემცირების ინდიკატორები და ამოღების თარიღები. ქიმიური ნაერთების ჩამონათვალი რეგულირდება მონრეალის პროტოკოლით, რომელიც მოიცავს აეროზოლს, რეფრიგერანტებს, ქაფის ამომფრქვევ აგენტებს, ხსნარებს და ცეცხლისგან დამცავ აგენტებს, ხელმომწერი ქვეყნების დეტალებით და ეტაპობრივი ამოღებს სამიზნე თარიღებით. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევრობანკიდან: http://ozone.unep.org/new_site/en/index.php

9) განადგურება გულისხმობს (I) ჰაბიტატის ერთიანობის განადგურებას ან სერიოზულ შემცირებას, გრძელვადიან ცვლილებას მიწის ან წყლის მოხმარებაში (2) ჰაბიტატის იმგვარი შეცვლა, რაც მათ როლსა და ფუნქციას (იხილეთ სქოლიოს შენიშვნა 8) უკარგავს.

10) კრიტიკული ჰაბიტატი არის ბუნებრივი და მოდიფიცირებული ჰაბიტატის დანაყოფი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. კრიტიკული ჰაბიტატი გულისხმობს მაღალი ფასეულობის ბიომრავალფეროვნების სფეროებს, რომლებიც აკმაყოფილებს მსოფლიო კონსერვაციის კავშირის საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს, მათ შორის კრიტიკული გადაშენების გზაზე მყოფი ჯიშების გადარჩენისთვის საჭირო ჰაბიტატს, როგორც ეს წითელ წიგნში ან ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული; განსაკუთრებული ენდემური მნიშვნელობის ან შეზთღუდული რანგის მქონე ჯიშები, მიგრაციული ჯიშების გადარჩენისთვის კრიტიკული ადგილები, გლობალურად

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი კონცენტრაციის მხარდამჭერი ადგილები ან ჯოგური ჯიშებიც ცალკეული რაოდენობები, ჯიშების უნიკალური გაერთიანების ადგილები ან ის ლოკალიზაციები, რომლებიც ძირითად ევოლუციურ პროცესებთან ასოცირდება ან ეკოსისტემების ძირითად მომსახურებას უზრუნველყოფს, ასევე სფეროები ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული და ადგილობრივი თემებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილები. ძირითადი ან მაღალი კონსერვაციის

ფასეულობის მქონე ტყეები მიიჩნევა კრიტიკულ ჰაბიტატად. [გერმანიის საერთაშორისო განვითარების საინვესტიციო კომპანია]

11) მნიშვნელოვანის ორიენტირია ბალანსის 5 —10% ან დაფინანსებული მოცულობა. [გერმანიის საერთაშორისო განვითარების საინვესტიციო კომპანია]

12) საფინანსო ინსტიტუტებში ეს გამოითვლება ასეთი საქმიანობის დაფინანსების მოცულობის გათვალისწინებით. [გერმანიის საერთაშორისო განვითარების საინვესტიციო კომპანია]

13) პროექტების დაფინანსება გამორიცხულია, როდესაც ეს საქმიანობა პროექტის სპონსორის ძირითად საქმიანობის ან პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს,

14) არ ეხება დაუშლელი აზბესტის ცემენტის ფილების შეძენასა და გამოყენებას, სადაც აზბესტის ცემენტის შემცველობა 20 პროცენტზე ნაკლებია [ევრობანკი]

15) საზიანო არასრულწლოვანთა შრომა გულისხმობს ბავშვების დასაქმებას, რაც ეკონომიურ ექსპლუატაციას ნიშნავს ან სავარაუდოდ საზიანოა მათი ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის ან ხელს უშლის ბავშვის განათლებას ან სხვაგვარად უშლის ხელს მის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ ან სოციალურ განვითარებას.[საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია]

16) საცნობარო დოკუმენტები ევროკავშირის მარეგულირებელი დოკუმენტებია (EEC) No 2455/92 განსაკუთრებით საშიში ქიმიური მასალების ექსპორტის და იმპორტის შესახებ, შემდგომი რედაქციით; გაეროს პროდუქტების ნაერთი სია, რომელთა მოხმარება და/ან რეალიზაცია აკრძალულია, აღკვეთილია, მკაცრად შეზღუდულია ან არ არის დამტკიცებული მთავრობების მიერ; გარკვეული საზიანო ქიმიური ელემენტების და პესტიციდების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვისთვის წინასწარი ინფორმირებული დასტურის შესახებ კონვენცია (როტერდამის კონვენცია); მუდმივი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენცია; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პესტიციდების კლასიფიკაცია ზიანის მიხედვით. [ევრობანკი]

17) 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია საზიანო ნარჩენების საზღვარზე მოძრაობისა და განადგურების შესახებ [ევრობანკი]. საცნობარო დოკუმენტებია: ევროსაბჭოს დირექტივები (EC) No 1013/2006 – 2006 წლის 14 ივნისი – ნარჩენების ტრანსპორტირების შესახებ: გადაწყვეტილება C(2001)I 07
– ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება C(92)39 საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, რომელიც თავის მხრივ შეეხებოდა საზღვარზე ნარჩენების მოძრაობის კონტროლი წარმოებაში გამოსაყენებლად.

18) შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები გულისხმობენ თუმცა არ შემოიფარგლებიან მხოლოდ შემდეგით: კონვენცია გარეული ცხოველების მიგრაციული ჯიშების კონსერვაციის შესახებ (ბონის კონვენცია); საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობების შესახებ კონვენცია, განსაკუთრებით ჩანჩქერების ჰაბიტატის შესახებ (რამსარის კონვენცია); ევროპული ველური გარემოსა და ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაციის შესახებ კონვენცია (ბერნის კონვენცია); მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ კონვენცია; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია. [ევრობანკი]

19) საზიანო ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალი იხილეთ http://www.pic.int.

20) ეს მოიცავს: ცისტერნებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ყველა საჭირო საზღვაო პოლიციის „სოლასის“ სერტიფიკატები (მათ შორის და შეზღუდვების გარეშე ISM კოდებთან შესაბამისობა), ევროკავშირის მიერ შავ სიაში შეყვანილი ცისტერნები ან პარიზის ურთიერთგაგების მემორანტუმით აკრძალული პორტების სახელმწიფო კონტროლზე (პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმი) და ცისტერნები, რომლებიც საზღვაო პოლიციის 130–ე განკარგულებით ეტაპობრივ ამოღებას ექვემდებარება. არცერთი ერთკორპუსიანი ცისტერნა 25 წელზე მეტი ხანდაზმულობით უნდა იქნეს გამოყენებული. [ევრობანკი]

21) ამ კატეგორიის ქვეშ მოხვედრილი ოპერაციები არ დაფინანსდება აზიის განვითარების ბანკის მიერ.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

დანართი B – PS/PR სკრინინგის ინსტრუქცია

PS/PR სკრინინგი: PS/PR იდენტიფიკაცია

წინამდებარე საკონტროლო სია გამოავლენს ოპერაციის შესატყვის სამოქმედო სტანდარტს. "ტრანზაქციის შესატყვისი" არის სამოქმედო სტანდარტის მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ტრანზაქციის შესწავლას პროექტის შეფასების ეტაპზე.

სამოქმედო მოთხოვნა 1: სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის სისტემა	
კომპანია პოტენციურად გამოიწვევს ან წარმოქმნის გარემოსდაცვით და/ან სოციალურ რისკებს?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე.	
სამოქმედო მოთხოვნა 2: შრომის საკითხები და ადამიანური რესურსები	
კომპანიას ათზე მეტი თანამშრომელი ჰყავს?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე	
სამოქმედო მოთხოვნა 3: გარემოს დაბინძურების პრევენცია და რესურსების ეფექტურობა. კომპანიას შეფასებული აქვს გარემოსდაცვითი გავლენა და მისი წვლილი სასათბურე აირების გამოშვებაში, რაც კლიმატის ცვლილებებს იწვევს?	
კომპანია აწარმოებს მყარ და საზიანო ნარჩენებს, აირების ემისიას, თხევად ნარჩენებს, ნამწვ საწვავს ან იყენებს პესტიციდებს?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე.	
სამოქმედო მოთხოვნა 4: მოსახლეობის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა. კომპანია მეზობელ დასახლებებს იცავს პოტენციური რისკებისგან და კარგად მართავს მისი ფუნქციონირებით გამოწვეულ ჯანდაცვის და უსაფრთხოების საკითხებს?	
პროექტის ახლოს არის დასახლებები?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე.	
სამოქმედო მოთხოვნა 5: მიწის შეძენა და იძულებითი განსახლება. კომპანია პასუხისმგებლობით მართავს იძულებით განსახლების პროცესს მის ფლობაში ან გამოყენებაში არსებული მიწებიდან?	
კომპანია აპირებს შეიძინოს, იქირაოს ან იჯარით აიღოს მიწა, რომელსაც ის უკვე არ ფლობს?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე.	

სამოქმედო მოთხოვნა 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. კომპანია ბიომრავალფეროვნებაზე თავისი ფუნქციონირებით გამოწვეულ ეფექტს კარგად მართავს?	
არსებობს ბუნებრივი ჰაბიტატის ბიომრავალფეროვნების სფეროები კომპანიის გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონში? ამ მოთხოვნის მიზნებისთვის გავლენის რეგიონად მიიჩნიეთ 25-50 მილის რადიუსი	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე.	
სამოქმედო მოთხოვნა 7: ტრადიციული ხალხი: კომპანია პასუხისმგებლობით ეკიდება მისი საქმიანობით ტრადიციულ ხალხზე მომხდარი ზემოქმედების მართვას?	
ტრადიციული ხალხი ცხოვრობს თუ არა კომპანიის სამოქმედო ტერიტორიის მახლობლად?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე.	
სამოქმედო მოთხოვნა 8: კულტურული მემკვიდრეობა. კომპანია მისი საქმიანობით არქეოლოგიური, რელიგიური, ისტორიული და სხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე გამოწვეულ პოტენციურ ზეგავლენას კარგად მართავს?	
კომპანიის წარმოების ახლოს მდებარეობს არქეოლოგიური, რელიგიული, ისტორიული და სხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები?	
დიახ	
არა	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შეფასების ეტაპზე	

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

დანართი C- გარემოსდაცვითი და სოციალური სიღრმისეული ანალიზის ანგარიში (მხოლოდ საშუალო და მაღალი რისკის შემცველი ოპერაციებისთვის)

ოპერაციის დასახელება:

1 ოპერაციის ხასიათი და მსესხებლის ბიზნესი:

- ოპერაციის სახეობა, მოცულობა და ვადა;
- მსესხებელი და მისი ბიზნეს საქმიანობა: [სახელი, გვარი, ადგილმდებარეობა, ბიზნესის სახე, ნომენკლატურული კოდი, ზომა (წარმადობა და კადრების რიცხოვნობა)]

- სესხის მიზნობრიობა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიები: დაბალი_____ საშუალო_____ მაღალი_____ A კატეგორია_

2 მიმოხილული გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია და გამოვლენილი საკითხები

- მიმოხილული ინფორმაცია, მაგ: მსესხებლის წარმომადგენლობა, ნებართვებისა და ლიცენზიების ასლები, პოლიტიკის განაცხადისა და პროცედურების ასლები, გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში, ობიექტის დათვალიერების ოქმი, შემოწმების ანგარიშები

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

- კომპანიის საქმიანობით გამოწვეული ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენა (მაგ. აირების ემისია, ნაჟური წყლები, გაამომუშავებული საზიანო ნარჩენები, მიწის შეძენა, სამსახურეობრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, შრომის სტანდარტები, კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენა)
- ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გამოვლენა (მაგ. მაღალი გადასახადები ემისიაზე, კანონმდებლობასთან ამჟამინდელი ან სამომავლო შეუსაბამობა, საწარმოო ტრამვების მაღალი მაჩვენებლები, მნიშვნელოვანი ინციდენტების მაღალი რისკი, ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრები/პროტესტი, ხელქვეითებთან ხელმძღვანელობის ცუდი ურთიერთობა)

3 გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობა და ვალდებულებები

- მსესხებელი აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სტანდარტებს?
- მსესხებელს მიღებული აქვს აუცილებელი ნებართვები და დასტური მშენებლობაზე/ფუნქციონირებაზე?
- მსხვილი გაფართოების პროექტების/ახალი განვითარების დაფინანსება: მსესხებელს განხორციელებული აქვს გარემოზე ზეგავლენის შეფასება მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად? მისი გარემოზე ზეგავლენის შეფასება განხილულია ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც პროექტის გავლენის ქვეშ მოექცევა? რა შენიშვნები და კომენტარები იქნა მიღებული მოსახლეობისგან?
- მსესხებელს ზედმეტი თანხა აქვს გადახდილი ჯარიმების, სანქცია–საურავების სახით გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო ბოლო ორი წლის მანძილზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ მოცულობები.
- რა ძირითადი მიგნებები გაკეთდა მსესხებლის ბიზნესის ბოლო გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასების ანგარიშებიდან?
- მსესხებელი ექვემდებარება მიმდინარე ან სამომავლო ადმინისტრაციულ ან სასამართლო გარჩევებს გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევისთვის?
- მსესხებელი დაუცველია პოტენციურად ისეთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ვალდებულებების წინაშე, როგორიცაა წარმოქმნილი ან ნავარაუდევი მიწის/ნიადაგქვეშა წყლების დაბინძურება, რაც წარსულში კომპანიის ფუნქციონირებას უკავშირდება? დადებითი პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ პრობლემის მასშტაბები;
- მსესხებელი ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნიდან: საწარმო შეძლებს მოსალოდნელი ევროკავშირის გარემოსდაცვითი მოთხოვნების და პროდუქციის სტანდარტების დაკმაყოფილებას?

4 სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა:

- მსესხებელი აკმაყოფილებს ეროვნულ კანონმდებლობას შრომისა და კოლექტივის დაცვის კუთხით? განსაკუთრებით ნიშანდობლივიაა საწარმოო ჯანდაცვა და უსაფრთხოება, არასრულწლოვნების დასაქმება, იძულებითი შრომის აკრძალვა, კადრების დისკრიმინაციისგან თავისუფალი მოპყრობა, ასოცირების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება.
- მსესხებელს გადახდილი აქვს დამატებითი ტანხები ჯარიმების და სანქცია–საურავების სახით სამსახურეობრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის, შრომითი ურთიერთობების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სანიტარული წესრიგის გამო ბოლო ორი წლის განმავლობაში? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ პრობლემის მასშტაბები.

- რა ძირითადი მიგნებები გაკეთდა მსესხებლის საქმიანობის საფუძველზე ბოლოდროინდელი საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, შრომითი ურთიერთობისა და სანეპიდ შემოწმების ანგარიშებში?
- მსესხებელი ექვემდებარება მიმდინარე ან სამომავლო ადმინისტრაციულ ან სასამართლო გარჩევებს საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, შრომითი ურთიერთობების ან სანიტარული ნორმების დარღვევისთვის?
- მსესხებლები ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებიდან: საწარმო შეძლებს ევროკავშირის მოსალოდნელი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნების, წარმოების და შრომითი ურთიერთობის სტანდარტების დაკმაყოფილებას?
- დასაფინანსებელ პროექტს რაიმე საზიანო გავლენა ექნება ძირძველ მოსახლეობაზე, კულტურულ ან არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ როგორ მოხდება გავლენის შემცირება?
- მსხვილი პროექტების მნიშვნელოვანი გაფართოების/ახალი განვითარების დაფინანსება: პროექტი გულისხმობს მიწის შეძენას ან კომპანიის სანიტარული ზონის გაფართოებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ ხალხის გადასახლება ნაგულისხმევია? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდეთ შესაბამისი კანონების/ნორმატიული აქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემოთავაზებული გადასახლებისა და კომპენსაციის შესახებ. ინფორმაცია უნდა დაერთოს სიღრმისეული შესწავლის ანგარიშს.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (გაგრძელება)

5 მსესხებელს რაიმე მნიშვნელოვანი ავარიები ან ინციდენტები ჰქონია ბოლო ორი წლის განმავლობაში (მაგ. ნავთობის ჩაღვრა, ხანძრები), რამაც სიკვდილიანობა, სერიოზული ტრამვები და/ან გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ დეტალები.

6 თუ მიწა გირაოს სახით არის წარმოდგენილი, რა ნიშნები მიუთითებს მატერიალურ დაბინძურებაზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ ბანკის, როგორც მოგირავნის, ვალდებულებები მიწის გაწმენდაზე და მათი შესაბამისი მასშტაბები.

7 რისკის შემცირება და მონიტორინგი:

- დაასახელეთ დამატებითი ქმედებები, რომლებიც მსესხებელს მოეთხოვება ან მის მიერ არის დაგეგმილი ნებისმიერი გარემოსდაცვითი და სოციალური ნორმების შეუსაბამობის პრობლემების და ვალდებულებების მოსაგვარებლად.
- დაასახელეთ ბანკის მიერ განსახორციელებელი ნებისმიერი რისკის შემცირების ზომები, მაგ. გარემოსდაცვითი და სოციალური პირობები, საკრედიტო პირობები ან მონიტორინგის მოთხოვნები (მაგ. მსესხებლის რეგულარული ანგარიშგება)

8 გარემოსდაცვითი და სოციალური შესაძლებლობები: დაასახელეთ მსესხებლის მიერ განხორციელებული/დაგეგმილი ნებისმიერი ზომა, განსაკუთრებით სესხიდან დაფინანსებული საქმიანობის ფარგლებში (მე–7 პუნქტში ნახსენების გარდა), საწარმოს გარემოსდაცვითი ან სოციალური მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგ. ენერგო ეფექტურობა, სუფთა ტექნოლოგიები, ნარჩენების შემცირება, საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვა, ადგილობრივ თემთან ურთიერთობა.

აბრევიატურები:

ESG- გარემოსდაცვითი, სოციალური მმართველობა
IFC- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFI-საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
ESRMP- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა
PS- შესრულების სტანდარტები
PR- შესრულების მოთხოვნები

ESDD- გარემოსდაცვითი და სოციალური სიღრმისეული შესწავლის ანალიზი
OHS - შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
ESRM- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა
C.O.- კრედიტ ოფიცერი
EIA - გარემოზე ზემოქმედების შეფასება
RP - განსახლების გეგმა
IPP - ძირძველი ხალხის გეგმა

სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება

1. სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაცია

მმართველობა:

სააქციო საზოგადოება იშბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭო არის ბანკის ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს დებულების შესაბამისად და რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს კანონი „ კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“, „კომერციული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსი“ და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. შემადგენლობა:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ 2 უნდა იყოს დამოუკიდებელი. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის სტატუსი ავტომატურად უქმდება საბჭოს წევრად პირველი დანიშვნიდან 7 წლის შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია ისე, რომ შეინარჩუნოს შეხედულებათა მრავალფეროვნების ბალანსი. ეს ნიშნავს საბჭოს დაკომპლექტებას სხვადასხვა უნარების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ადამიანებით. თუმცა სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 20%, ანუ 1 წევრი უნდა იყოს საპირისპირო სქესის წარმომადგენელი.
ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირება, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
ამჟამად სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არის ექვსი წევრი და ოთხი კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი, რისკების კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტი და ლიმიტის რევიზიის კომიტეტი. თითოეული კომიტეტის კომპეტენცია განისაზღვრება მათი წესდებით.



Supervisory Council Commitees

აუდიტისა და რისკების კომიტეტები იმართება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ, ხოლო ლიმიტის გადასინჯვის კომიტეტი წელიწადში ერთხელ. საკრედიტო კომიტეტი იმართება მოთხოვნით, მაგრამ არანაკლებ ყოველწლიურად.
ყველა კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ სამი წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის თავმჯდომარე/თავმჯდომარე. კომიტეტების სტრუქტურა შემდეგია:

საკრედიტო კომიტეტი	უდიტის კომიტეტი	რისკის კომიტეტი	ლიმიტის გადასინჯვის კომიტეტი
ოლუნ თუფან ქურბანოღლუ (C)	თამარ სანიკიძე (C)	ნათია ჯანელიძე (C)	ოზან უიარი (C)
აჰმეთ ჰაკან უნალ	ოზან უარი	ჰ.სერდარ იუჯელი	აჰმეთ ჰაკან უნალ
ოზან უიარ	ნათია ჯანელიძე	თამარ სანიკიძე	ჰ.სერდარ იუსელი

სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასება (გაგრძელება)

2. საქართველოს საბანკო სექტორი

საქართველოს საბანკო სექტორი შედგება 17 ბანკისგან (მათგან 15 არის უცხოური კონტროლირებადი) აქტივების ჯამური მოცულობა 95.68 (34.09 აშშ დოლარი) მლრდ ლარს შეადგენს. ორი უმსხვილესი ბანკი (TBC და BOG) მთლიან საბანკო სექტორში 78.00%-ს შეადგენს, ხოლო მესამე ბანკი (Liberty) მეორე ადგილზე გასული ბანკის მეშვიდედს შეადგენს (5.13% 38.69%-ის პირისპირ). ლონდონის საფონდო ბირჟაზე ორი უმსხვილესი ბანკია კოტირებული. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 140 ფილიალი, 761 სერვის ცენტრი და 2,846[1] ბანკომატი. კაპიტალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 14,17 მილიარდ ლარს (5.05 აშშ დოლარი).
2023 წლიდან საზედამხედველო რეპორტინგი სრულად გადავიდა ფასს სტანდარტებზე.

3. განხილული დოკუმენტები

სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება ეფუძნებოდა როგორც მარეგულირებელი, ისე შიდა პოლიტიკის მიმოხილვას, რომელიც დაკავშირებულია სამეთვალყურეო საბჭოს მმართველობასა და ფუნქციონირების პრინციპებთან და მის შესაბამისობას მარეგულირებელ ჩარჩოსთან. პარალელურად, სამეთვალყურეო საბჭომ განიხილა სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების

[1] საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023

4. შეფასების კითხვარი და სამოქმედო გეგმა

კრიტერიუმები		ფაზა 1 სამართლებრივი ჩარჩო	ფაზა 2 პრაქტიკა და პროცედურები	მე-3 ფაზის შესაბამისობა					
				შეფასება[2]					კომენტარები
				C	LC	MNC	NC	NA	
სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაცია	ბანკის შინაგანაწესი ზედმიწევნით ასახავს სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც რეალურად ახორციელებს ამ ორგანოს.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	ბანკის შინაგანაწესი ზედმიწევნით ასახავს სამეთვალყურეო საბჭოს საკრედიტო კომიტეტის ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს, როგორც რეალურად ასრულებს ამ ორგანოს.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	ბანკის შინაგანაწესი ზედმიწევნით ასახავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს, როგორც რეალურად ასრულებს მოქმედი მმართველი.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	პასუხისმგებლობები, რომლებიც დელეგირებულია დირექტორთა საბჭოსთვის, მკაფიოდ არის განსაზღვრული ბანკის შიდა რეგლამენტში, რათა უზრუნველყოს თითოეული ორგანოსთვის დაკისრებული ამოცანების კარგად გაგება.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	დებულება დირექტორთა საბჭოს მოვალეობებისა და უფლებამოსილებების შესახებ	☒	☐	☐	☐	☐	

[2] C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების და მათი მიღწევის საშუალებების ჩამოყალიბება ადეკვატურია.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სტრატეგიული გეგმა, სამუშაო გეგმა დამტკიცებული სკ	☒	☐	☐	☐	☐	
	„ქცევის კოდექსი“ ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოსა და ბანკის თანამშრომლებზე	„კომერციულიბანკების ეთიკის კოდექსი და პროფესიულიქცევის სანდარტები“	იშბანკ საქართველოს ეთიკის კოდექსი და პროფესიული ქცევის სტანდარტები .	☒	☐	☐	☐	☐	

კრიტერიუმები	ფაზა 1 სამართლებრივი ჩარჩო	ფაზა 2 პრაქტიკა და პროცედურები	მე-3 ფაზის შესაბამისობა					
			შეფასება[2]					კომენტარები
			C	LC	MNC	NC	NA	
სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის მეთოდი	წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების რაოდენობა ადეკვატურია ბანკის სამუშაო ნაკადის მოთხოვნებთან მიმართებაში.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	შეხვედრები სათანადოდ მომზადებული და ეფექტურად წარიმართა.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ხელს უწყობს ღია დისკუსიას და საკითხებზე თავისუფალ აზრს და პოზიციებს სკ-ის წევრების შეხვედრებზე.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი ადეკვატურად უჭერს მხარს საბჭოს ამოცანებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	

C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

	საბჭოს სხდომების ოქმები, მათ შორის გადაწყვეტილებები, არის ჭეშმარიტი და ნათელი	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	არის რეგულარული კონტაქტები სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და დირექტორთა საბჭოს შორის სკ-ის სხდომების გარეთ.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	

2

კრიტერიუმები		ფაზა 1 სამართლებრივი ჩარჩო	ფაზა 2 პრაქტიკა და პროცედურები	მე-3 ფაზის შესაბამისობა					
				ჰეფასება[3]					კომენტარები
				C	LC	MNC	NC	NA	
	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა შეესაბამება ბანკის ზომას	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	

[3] C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პროფესიული შესაძლებლობები უზრუნველყოფს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებების მიღებას და აზრთა კრიტიკულ გაცვლას მათ შორის და დირექტორთა საბჭოს მიმართ.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმუმ 1/3 მთლიანად დამოუკიდებელია ბანკისგან	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	ნებისმიერი შესაძლო „ინტერესთა კონფლიქტის“ მოგვარების წესები ნათელი და გამჭვირვალეა	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების პოლიტიკა	☒	☐	☐	☐	☐	
	საბჭოს სხდომების ოქმები, მათ შორის გადაწყვეტილებები, არის ჭეშმარიტი და ნათელი	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	სამეთვალყურეო საბჭო დაბალანსებული იყო მისი წევრების ასაკისა და გამოცდილების მიხედვით	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	

C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

კრიტერიუმები		ფაზა 1 სამართლებრივი ჩარჩო	ფაზა 2 პრაქტიკა და პროცედურები	მე-3 ფაზის შესაბამისობა					
				შეფასება[4]					კომენტარები
				C	LC	MNC	NC	NA	
რისკების მართვა	ბანკის რისკების მართვისთვის არსებული ინსტრუმენტები ძირითადად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მოლოდინებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	რისკების სხვადასხვა კატეგორიები მკაფიოდ არის განსაზღვრული და რეგულარულად განახლებულია რეგულაციებში და სხვა შიდა კანონმდებლობაში	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა რეგულარულად განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	ბანკის გენერალური მენეჯმენტის ყველა წევრი სარგებლობს სამეთვალყურეო საბჭოს სრული ნდობით და სრულყოფილად ეკისრება მათ ამოცანებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	რისკების ეფექტური ზედამხედველობისთვის საკმარისია სამეთვალყურეო საბჭოს კონტაქტები აუდიტის კომიტეტთან, დირექტორთა საბჭოსთან და საკრედიტო კომიტეტთან.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	ბანკის რისკის ასპექტები რეგულარულად განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	

4

კრიტერიუმები		ფაზა 1 სამართლებრივი ჩარჩო	ფაზა 2 პრაქტიკა და პროცედურები	მე-3 ფაზის შესაბამისობა					
				შეფასება[4]					კომენტარები
				C	LC	MNC	NC	NA	
აუდიტის კომიტეტის ფუნქცია	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები სწორად არის განსაზღვრული შესაბამის დირექტივაში რეალურად შესრულებულთან მიმართებაში	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პროფესიული ცოდნის დონე, რომლებიც იღებენ აუდიტის კომიტეტის ფუნქციას, შეესაბამება მათ ამოცანებს (ანუ შიდა და გარე აუდიტის სამუშაოები, შიდა კონტროლი… და ა.შ.)	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	

[4] C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

	აუდიტის კომიტეტის ფუნქციის კონტაქტები დირექტორთა საბჭოსთან და შესაბამისობისა და რისკების კონტროლის ხელმძღვანელებთან არის რეგულარული და კონსტრუქციული.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირების კონტაქტები შიდა აუდიტორებთან არის რეგულარული და კონსტრუქციული	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	აუდიტის კომიტეტის ფუნქციის კონტაქტები გარე აუდიტორებთან არის რეგულარული და კონსტრუქციული	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	აუდიტის კომიტეტის ფუნქცია ადეკვატურად აკონტროლებს ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცედურებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	აუდიტის კომიტეტის ფუნქცია ადეკვატურად აკონტროლებს ბანკის აუდიტის პროცედურებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
კრიტერიუმები		ფაზა 1 სამართლებრივი ჩარჩო	ფაზა 2 პრაქტიკა და პროცედურები	მე-3 ფაზის შესაბამისობა					
				შეფასება[6]					კომენტარები
				C	LC	MNC	NC	NA	
	შიდა აუდიტორების ამოცანები და საქმიანობა შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მოლოდინებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	

შიდა აუდიტი/ სხვადასხვა	ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის მნიშვნელოვანი რისკების შესახებ, ადეკვატურია და რეგულარულად წარდგენილი.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ რისკების კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ადეკვატური და რეგულარულად წარდგენილი.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება	☒	☐	☐	☐	☐	
	არაფინანსური ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის შესახებ, დამაკმაყოფილებელია და რეგულარულად არის წარდგენილი.	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	
	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს შესაბამისობის ასპექტებს	"კომერციული ბანკების კორპორატიული მმართველობა"	სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, სკ აუდიტის კომიტეტის წესდება	☒	☐	☐	☐	☐	

6

C: შესაბამისობა, LC: დიდწილად შესაბამისობა, MNC: მატერიალურად შეუსაბამო, NC: შეუსაბამო, NA: შეუსაბამო

	პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება	
1	ბანკის სრული დასახელება	სს იშბანკი საქართველო
2	ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ
3	ბანკის გენერალური დირექტორი	ჰუსეინ ემრე ილმაზ
4	ბანკის ვებ-გვერდი	www.isbank.ge

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

ცხრილი N	სარჩევი
1	ძირითადი მაჩვენებლები
2	საბალანსო უწყისი
3	მოგება-ზარალის ანგარიშგება
4	ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი
5	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
6	ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ
7	აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები
8	საბალანსო ელემენტების ღირებულებასა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებები
9	საზედამხედველო კაპიტალი
9.1	კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები
10	საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები
11	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
12	საკრედიტო რისკის მიტიგაცია
13	სტანდარტიზებული მიდგომა - საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტი
14	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი
15	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
15.1	ლევერიჯის კოეფიციენტი
16	წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი
17	რისკის პოზიციის ღირებულება ნარჩენი ვადიანობის და რისკის კლასების მიხედვით
18	აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება რისკის კლასების მიხედვით
19	აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება დაფარვის წყაროს სექტორების მიხედვით
20	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება სესხებზე და კორპორატიულ სავალო ფასიან ქაღალდებზე
21	უმოქმედო სესხების ცვლილება
22	სესხების, სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება, საკრედიტო რისკის კატეგორიის, ვადაგადაცილების და მსესხებლის ტიპის მიხედვით
23	სესხების, უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით განაწილებული სესხების, სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, სესხებზე უზრუნველყოფის ღირებულების და გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხების განაწილება საკრედიტო რისკის კატეგორიისა და ვადაგადაცილების მიხედვით
24	სესხების და სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაწილება, დაფარვის წყაროს სექტორების და საკრედიტო რისკის კატეგორიის მიხედვით
25	სესხების, კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება უზრუნველყოფების მიხედვით
26	ზოგადი და ხარისხობრივი ინფორმაცია საცალო პროდუქტებზე

ბანკი: სს იშბანკი საქართველო
თარიღი: **31-Dec-24**

ცხრილი 1 ძირითადი მაჩვენებლები

N		ფასს-ის საფუძელზე დანგარიშებული რიცხვები				
		4Q-2024	3Q-2024	2Q-2024	1Q-2024	4Q-2023
	საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
1	ძირითადი პირველადი კაპიტალი	143,298,737	145,613,172	142,489,102	138,164,000	133,880,862
2	პირველადი კაპიტალი	143,298,737	145,613,172	142,489,102	138,164,000	133,880,862
3	საზედამხედველო კაპიტალი	143,298,737	145,613,172	142,489,102	138,164,000	133,880,862
4	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	80,174,848	72,576,772	73,092,332	75,250,685	68,227,083
5	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	99,474,703	90,231,128	90,897,074	93,776,071	84,997,081
